პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქ. კ. პ. (ბ) ცენტ. და ტფ. კომიტეტების და ცაკის ორგანო

ფასი 10 კაპ.

პარასკევი,
9
აგვისტო
1935 წ.
№ 184 (4340)

დღეს ნომერში

— დაწყებითი, არასრული საშუალო და საშუალო სკოლების სახელმძღვანელოთა გამოცემისა და გაყიდვის შესახებ.
— კამათი ამხ. გიორგი დიმიტროვის მოხსენების გარშემო.
— ენგელსი რევოლუციური მარქსიზმისათვის ბრძოლაში (ამხ. მანუილსკის სიტყვა).
— გარდაიცვალა სომხეთის სახალხო მწერალი ა. შირვანზადე.
— ჩაის კრეფა 5 აგვისტოსათვის.
— მოსავლის აღება და ლეწვა 5 აგვისტოსათვის.
— რომენ როლანის და ბარბიუსის დეპეშა [illegible]
— პროტესტი იაპონიის ელჩისა ამერიკის შეერთებულ შტატებში.

დაწყებითი, არასრული საშუალო და საშუალო სკოლების სახელმძღვანელოთა გამოცემისა და გაყიდვის შესახებ

სსრ კავშირის სახალხო კომისართა საბჭოს და საკ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის დადგენილება

თავის 1933 წლის 12 თებერვლის დადგენილებაში სახელმძღვანელოების შესახებ საკ. კ.პ. (ბ) ცენტრალურმა კომიტეტმა მიუთითა, რომ სკოლის მუშაობის ხარისხის გაუმჯობესების აუცილებელ და გადამწყვეტ პირობას წარმოადგენს ყველა საგნის სტაბილური სახელმძღვანელოები, რომელნიც მოწოდებული არიან აღმოფხვრან სახელმძღვანელოთა დაუსრულებელი „დაპროექტების" არსებული „მეთოდი". საკ. კ.პ. (ბ) ცენტრალურმა კომიტეტმა დაჰგმო რუსეთის სფს რესპუბლიკის განსახკომის არასწორი ხაზი, რის შედეგად საბჭოთა სკოლას არ მოეპოვებოდა სტაბილური, საერთოდ მიღებული სახელმძღვანელოები, რომლებიც აკმაყოფილებენ მეცნიერების მოთხოვნილებებს.

საკ. კ.პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის აღნიშნული დადგენილების საფუძველზე, განვლილი დროის განმავლობაში გამოიცა და სკოლებში გაიგზავნა 150 მილიონზე მეტი სახელმძღვანელო. საბჭოთა კავშირის ყველა ხალხის ბავშვთა სასწავლებლად შეიქმნა სახელმძღვანელოები მათს მშობლიურ ენაზე. მარტო 1933—1935 წლებში გამოიცა არარუსული სახელმძღვანელო — 35 მილიონი ეგზემპლარი.

მთელ რიგ ძირითად საგნებში დაწყებითმა, არასრულმა საშუალო და საშუალო სკოლებმა მიიღეს სტაბილური სახელმძღვანელოები.

მაგრამ სსრ კავშირის სახკომსაბჭოს და საკ. კ.პ. (ბ) ცენტრალურ კომიტეტს არადამაკმაყოფილებლად მიაჩნიათ მდგომარეობა სსრ კავშირის დაწყებითი, არასრული საშუალო და საშუალო სკოლების სახელმძღვანელოებით უზრუნველყოფის მხრივ. მიუხედავად იმისა, რომ გამოიცა 150 მილიონზე მეტი სახელმძღვანელო, მათი რაოდენობა არ შეეფერება ჩვენი ქვეყნის მოსწავლეთა რიცხვის ზრდას და სასკოლო ქსელის გაშლას. ასეთი მდგომარეობის უშუალო პასუხისმგებლობა ეკისრებათ განსახკომებს, რომლებმაც ვერ უზრუნველჰყვეს, ყოველგვარი შესაძლებლობის არსებობის მიუხედავად, სახელმძღვანელოთა საჭირო რაოდენობის გამოცემა.

სსრ კავშირის სახკომსაბჭო და საკ. კ.პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტი აღნიშნავენ, რომ რუსეთის სფს რესპუბლიკის განსახკომმა, ხოლო მის შემდეგ სხვა მოკავშირე რესპუბლიკების განსახკომებმა, სახელმძღვანელოთა გამოცემისადმი უპასუხისმგებლო დამოკიდებულების შედეგად, დაუშვეს უაღრესად უხეში შეცდომები: ცენტრალური კომიტეტის დირექტივა სტაბილური სახელმძღვანელოების შექმნის შესახებ სისტემატურად ირღვეოდა ყოველწლიურად მრავალი სახელმძღვანელოს გადამუშავებით; მთელ რიგ დისციპლინებში შემოღებული იყო „დაშვებული" არასტაბილური სახელმძღვანელოს ტიპი; სახელმძღვანელოთა შედგენის ხელმძღვანელობას ანდობენ მეორეხარისხოვან, ნაკლებად პასუხისმგებელ მუშაკებს; სახელმძღვანელოების შედგენა და გამოცემა ხშირად დაუდევრად სწარმოებს, მათში დაშვებულია არაზუსტი განმარტებანი. სასწავლო მასალა სწორად არ არის დალაგებული, ზოგიერთი სახელმძღვანელოს მოცულობა და გადმოცემა უძნელებს მოსწავლეთ ცოდნის წარმატებით შეთვისებას. გამოცემის დროს უშვებენ შეცდომებს და უხეირო ილუსტრაციებს.

განსაკუთრებით არადამაკმაყოფილებლად არის დაყენებული ნათარგმნი სახელმძღვანელოებისა და არარუსულ ენაზე შედგენილი სახელმძღვანელოების (ორიგინალური) გამოცემა მოკავშირე და ავტონომიურ რესპუბლიკებსა და ოლქებში.

სახელმძღვანელოთა გავრცელების არსებული სისტემა, დაწესებული რუსეთის სფს რესპუბლიკის განსახკომის მიერ, ხოლო მის შემდეგ სხვა მოკავშირე რესპუბლიკების განსახკომების მიერ, რაც ეწინააღმდეგება საბჭოთა კანონებს. სახელმძღვანელოების განაწილება განსახკომებმა თავიანთ მონოპოლიურ პრივილეგიად გადააქციეს, მათ არ უშვებდნენ გასასყიდად. პრაქტიკაში შემოიღეს სახელმძღვანელოთა დახურული განაწილება, მოსწავლეთა შორის. მშობელთაგან სახსრების უკანონოდ შეგროვება იმისათვის, რომ სკოლას შეეძინა სახელმძღვანელოები, მშობელთა მიერ უკვე ფასგადახდილ სახელმძღვანელოებს აცხადებდნენ სკოლის „სოციალისტურ საკუთრებად", რაც სინამდვილეში იწვევდა მთელ რიგ უკანონობასა და ბოროტმოქმედებას.

ს.ს.რ. კავშირის სახკომსაბჭო და საკ. კ.პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტი ადგენენ:

I

სახელმძღვანელოთა გამოცემის შესახებ

1. იმ მიზნით, რომ 1935—36 სასწავლო წლის განმავლობაში მთლიანად იყოს უზრუნველყოფილი საბჭოთა კავშირის დაწყებითი, არასრული საშუალო და საშუალო სკოლების ყველა მოსწავლე სახელმძღვანელოთა სრული კომპლექტით, გამოიცეს 1935 წლის მეორე ნახევარში, სახელმძღვანელოთა 50 მილიონ ეგზემპლარის ზევით, რომლებიც უკვე გეგმის მიხედვით იბეჭდება, დამატებით კიდევ 52 მილიონი სახელმძღვანელო, მათ შორის:

რუსეთის სფსრ სკოლებისათვის — 35 მილიონი სახელმძღვანელო.

უკრაინის სსრ სკოლებისათვის — 8,6 მილიონი სახელმძღვანელო.

ბელორუსიის სსრ სკოლებისათვის — 2,5 მილიონი სახელმძღვანელო.

საქართველოს სსრ სკოლებისათვის — 1,8 მილიონი სახელმძღვანელო.

აზერბეიჯანის სსრ სკოლებისათვის — 1,8 მილიონი სახელმძღვანელო.

სომხეთის სსრ სკოლებისათვის — 0,6 მილიონი სახელმძღვანელო.

უზბეკისტანის სსრ სკოლებისათვის — 1,3 მილიონი სახელმძღვანელო.

თურქმენისტანის სსრ სკოლებისათვის — 0,2 მილიონი სახელმძღვანელო.

ტაჯიკისტანის სსრ სკოლებისათვის — 0,2 მილიონი სახელმძღვანელო.

2. რუსეთის სფს რესპუბლიკის სკოლებისათვის დაწესებული 35 მილიონ ეგზემპლარი, დამატებითი ტირაჟიდან გამოიცეს რუსულ ენაზე 31 მილიონი სახელმძღვანელო იმ ანგარიშით, რომ დაკმაყოფილებულ იქნას რსფსრ ავტონომიური რესპუბლიკების და ოლქების სკოლების მოთხოვნილება რუსულ სახელმძღვანელოებზე, დანარჩენი 4 მილიონი სახელმძღვანელო გამოიცეს სათანადო არარუსულ ენებზე რსფსრ ავტონომიურ რესპუბლიკებსა და ოლქებში.

3. წინადადება მიეცეს მოკავშირე და ავტონომიური რესპუბლიკების განსახკომებს, 10 დღის ვადაში, მუხ. 1 და 2 დადგენილ დავალებებთან შეფარდებით, დააწესონ სახელმძღვანელოთა დამატებით გამოცემის კონკრეტული გეგმა (სახელმძღვანელოთა სახელწოდების სია, ტირაჟი, აგრეთვე მათი გამოცემის რიგითობა ცალკე თვითეული სახელწოდების მიხედვით).

4. სახელმძღვანელოთა დამატებით გამოსაცემად 1935 წლისათვის დაწესებული ქაღალდის განაწილების გეგმის ზევით გამოიყოს 11 ათასი ტონა საჭირო ხარისხის საბეჭდი და საწერი ქაღალდი და დაევალოს სსრ კავშირის სახელმწიფო საგეგმო კომისიას გაანაწილოს იგი მოკავშირე რესპუბლიკებს შორის სახელმძღვანელოთა დამატებითი გამოცემის ამ დადგენილებით დაწესებულ გეგმასთან შეფარდებით.

უზრუნველყოფილ იქნას დამატებით დაბეჭდილი სახელმძღვანელოების სულ ცოტა 75 პროცენტის გამოცემა ყდებში და დანარჩენი 25 პროცენტისა — პაპკებში. სსრ კავშირის სახელმწიფო საგეგმო კომისიამ გამოჰყოს ამ მიზნისათვის 1,600 ტონა მუყაო თანაბარი ნაწილებით 1935 წლის მე-3 და მე-4 კვარტალებში მუყაოს სხვა მომხმარებელთა ფონდების სათანადო შემცირების ხარჯზე.

5. სახელმძღვანელოთა დამატებითი გამოცემის შესრულებისათვის პირადი პასუხისმგებლობა დაეკისროთ მოკავშირე და ავტონომიური რესპუბლიკებისა და ოლქების განათლების სახალხო კომისრებს.

6. დაგმობილ იქნას რუსეთის სფს რესპუბლიკის განსახკომის, აგრეთვე სხვა განსახკომების პრაქტიკა, რომლებმაც დაარღვიეს საკ. კ.პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის დადგენილება სახელმძღვანელოთა სტაბილობის შესახებ (ცვლილებანი ტექსტსა და მასალის დალაგებაში, ეგრეთწოდებული „დაშვებული" სახელმძღვანელობის პრაქტიკა და სხვ.). დადასტურდეს მოკავშირე და ავტონომიური რესპუბლიკებისა და ოლქების ყველა განსახკომის მიერ განუხრელად შესასრულებლად საკ. კ.პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის დირექტივა სტაბილური სახელმძღვანელოების შესახებ.

დაწესდეს, რომ ყოველ სახელმძღვანელოს ამტკიცებენ მოკავშირე რესპუბლიკათა განათლების სახალხო კომისრები. აეკრძალოს განსახკომებს რაიმე ცვლილების შეტანა ხელახლა გამოცემულ სტაბილურ სახელმძღვანელოებში, ამიერიდან არსებული სახელმძღვანელოების შეცვლა ახალი სახელმძღვანელოებით მოხდეს მხოლოდ საკ. კ.პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის და სსრ კავშირის სახკომსაბჭოს ნებართვით.

7. დაევალოს რუსეთის სფს რესპუბლიკის განსახკომს დაუგზავნოს მოკავშირე და ავტონომიური რესპუბლიკების განსახკომებს და საოლქო განათლების განყოფილებებს იმ სახელმძღვანელოთა ხელთნაწერები, რომლებიც გადათარგმნილ უნდა იქნან არარუსულ ენებზე.

8. საკ. კ.პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის სკოლების განყოფილებამ მოკავშირე რესპუბლიკათა განსახკომებთან ერთად 1935 წლის 1 დეკემბრისათვის შეიმუშაოს სახელმძღვანელოთა გამოცემის 1936 წლის გეგმა, რომელშიაც გათვალისწინებულ იქნას ყველა ტიპისა და საფეხურის სკოლების დროიანად და მთლიანად უზრუნველყოფა სახელმძღვანელოებით.

II

სახელმძღვანელოთა გაყიდვის შესახებ

1. გაუქმდეს მოსწავლეთა შორის სახელმძღვანელოების დახურული განაწილების არსებული წესი.

დაევალოს მოკავშირე და ავტონომიური რესპუბლიკების სახკომსაბჭოებს 1935 წლის 15 სექტემბრიდან შემოიღონ სახელმძღვანელოთა ახდილი გაყიდვა. სახელმძღვანელოების ვაჭრობა ხდებოდეს სახელმწიფო წიგნგამომცემლობათა მაღაზიებისა და კიოსკების მეშვეობით, ხოლო სოფლად — აგრეთვე კოოპერაციისა და სკოლის მეშვეობით.

2. სახელმძღვანელოები უნდა გაიყიდოს ნომინალურ ფასებში. ფასების გადიდებისათვის, აგრეთვე სახელმძღვანელოების სპეკულიაციისათვის, დამნაშავე პირნი მიცემულ უნდა იქნან პასუხისგებაში სისხლის სამართლის წესით.

3. დაწესდეს წიგნის მაღაზიებსა და კიოსკებში ნახმარი სახელმძღვანელოების ყიდვა - გაყიდვა დაკლებულ ფასებში.

4. სახელმძღვანელოები, რომლებიც სკოლებმა 1935—1936 სასწავლო წელს მოსწავლეებისათვის მისაწოდებლად შეისყიდეს, აგრეთვე 1933 და 1934 წლების გამოცემის ძველი სახელმძღვანელოები, რომლებიც სკოლებს ეკუთვნის, 1935 წლის 15 სექტემბრამდე გაიყიდოს ამ სკოლების მოსწავლეებზე. ამასთან საბოლოო ანგარიში გასწორდეს მშობლებთან და მოსწავლეებთან, რომლებმაც შემოიტანეს ავანსები სახელმძღვანელოების შესაძენად, ანდა განაღდეს მათი ღირებულება. სკოლების მიერ გაუყიდავი სახელმძღვანელოები გასასყიდად გადაეცემა წიგნის მოვაჭრე ორგანიზაციებს.

გაუქმდეს რსფსრ სახკომსაბჭოს 1933 წლის 15 აპრილის დადგენილება, აგრეთვე რუსეთის სფსრ განსახკომისა და სხვა სახალხო კომისარიატების განკარგულებანი სახელმძღვანელოთა შესასყიდად საზოგადოებრივი და მშობელთა სახსრების და ავანსების შეგროვების შესახებ.

* *

სსრ კავშირის სახკომსაბჭო და საკ. კ.პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტი ავალებენ პარტიულ და საბჭოთა ორგანიზაციებს ყოველგვარი საჭირო დახმარება აღმოუჩინონ სახალხო განათლების ორგანოებს სტაბილურ სახელმძღვანელოთა გამოცემის უმნიშვნელოვანეს საქმეში და შეუნელებელი კონტროლი განახორციელონ როგორც სახელმძღვანელოთა შექმნის მთელს მიმდინარეობაზე, ისე მათი ვაჭრობის ორგანიზაციაზე.

სსრ კავშირის სახკომ-
საბჭოს თავმჯდომარე
ვ. ჩუბარი

საკ. კ. პ (ბ) ცენტრალური
კომიტეტის მდივანი
ი. სტალინი

7 აგვისტო 1935 წელი.

კომინტერნის VII მსოფლიო კონგრესი

5 აგვისტოს დილის სხდომის დღიური

5 აგვისტოს დილის სხდომას ხსნის თავმჯდომარე ამხ. გარი **პოლიტი**. გრძელდება კამათი ამხ. დიმიტროვის მოხსენების გამო.

პირველი გამოდის ამხ. **ჰენდერსონი** (აფრიკა). იგი მოუთხრობს კონგრესს აფრიკის მშრომელთა ბრძოლაზე კოლონიალური ჩაგვრისა და კაპიტალისტური ექსპლოატაციის წინააღმდეგ და აღნიშნავს, ერთიანი ფრონტისათვის ბრძოლის გაძლიერებას, რომელშიაც მონაწილეობენ თეთრკანიანი მუშებიც, მკვიდრ მუშებთან ერთად. იმავე დროს ამხ. ჰენდერსონი აღნიშნავს ფაშისტური საშიშროების გაძლიერებასაც ჰიტლერის ფაშიზმის გავლენით, რომელმაც აფრიკა ამოირჩია სააგიტაციო ასპარეზად თავის კოლონიალური ზრახვათა სასარგებლოდ. შემდეგ გამოდის ამხ. **პალმ დატი** (ინგლისის კომპარტია). ის ლაპარაკობს ფაშიზმის შემოტევაზე დიდბრიტანეთში, იმ მზარდ წინააღმდეგობებზე, რომელსაც მას უწევენ ფართო მასები. ამხ. დატი ახასიათებს ფაშიზმს და აღნიშნავს, რომ მისი მთავარი საშიშროება არის სოციალური დემაგოგია, რის მეოხებითაც ის ახერხებს მშრომელთა ნაწილის თავის მხარეს გადაბირებას.

შემდეგ ის ჩერდება ფაშიზაციის პროცესებზე იმ ქვეყნებში, სადაც ფაშიზმი არ არის ხელისუფლების სათავეში და ლაპარაკობს ამ პროცესების სირთულესა და მოხვეულ-მოხვეულობაზე.

ეხება რა ფაშისტურ საშიშროებას მთელ რიგ ქვეყნებში, ამხანაგი დატი გადადის სოციალ-დემოკრატიის გამემარცხენების პროცესებზე. ჩვენ არ შეგვიძლია ახლა ვილაპარაკოთ სოციალ-დემოკრატიაზე, აცხადებს ამხ. დატი, როგორც ერთ მთელზე. ჩვენ უნდა ვარჩევდეთ სხვადასხვა ელემენტებს ცალკეული ქვეყნების სოციალ-დემოკრატიაში.

ამხ. დატი ლაპარაკობს კომპარტიის დიდ წარმატებებზე მასების ხელმძღვანელობის საქმეში და მშრომელთა ფართო მასებს შორის კომპარტიის ავტორიტეტის ზრდაზე. ამავე დროს ამხ. დატი აღნიშნავს: ინგლისის კომპარტიის უმთავრესი ნაკლი ის არის, რომ მან არ შეუძლია ორგანიზაციულად განამტკიცოს თავისი წარმატებანი.

ამხ. **დიმიტროვის** სიტყვა—ათავოებს თავის გამოსვლას ამხ. დატი—და კომინტერნის VII კონგრესის რეზოლუციები აღძრავენ ფართო მასებს ახალი ბრძოლისათვის ერთიანი ძლიერი საბრძოლო ფრონტით ფაშიზმისა, იმპერიალისტური ომისა და კაპიტალის შემოტევის წინააღმდეგ. ამხ. დატის უკანასკნელ სიტყვებს კონგრესი ტაშით ჰფარავს.

შესვენების შემდეგ სიტყვას ღებულობს ამხ. ფიტონი (საფრანგეთი), რომელიც თავის გამოსვლას უძღვნის საფრანგეთის კომპარტიის ცდას პროფმოძრაობის მთლიანობისათვის ბრძოლაში. ამხ. ფიტონი ხაზს უსვამს იმ ამოცანათა სერიოზულობას, რომლებიც კომუნისტების წინაშე დგას პროფკავშირებში, სადაც მათ უნდა დაიმსახურონ თავისი ამხანაგების ნდობა და ამ ნდობის საფუძველზე, როგორც პროფკავშირის საუკეთესო წევრები, გახდნენ მუშების ხელმძღვანელებად.

კომუნიზმმა საფრანგეთში უკვე დაამყარა სერიოზული კონტაქტი მუშათა მასებთან. პარტიის ავტორიტეტი გაიზარდა, — ამბობს ამხ. ფიტონი, ახლა დგება პროფკავშირების საერთაშორისო მასშტაბით გაერთიანების პრობლემა.

შემდეგ გამოდის ამხ. **დე-გროტი** (ჰოლანდია) კოლიინის მთავრობის მფარველობით,—ამბობს ამხ. დე-გროტი, ჰოლანდიაში სწარმოებს ფაშისტური ჯგუფების მუშაობის გაშლა. ეს ჯგუფები გერმანიის ფაშიზმის ფილიალია. ამ ფაშისტური ჯგუფების გავლენა ჯერ-ჯერობით უმნიშვნელოა, მაგრამ იგი იზრდება. ამ მოძრაობის წინააღმდეგ ბრძოლაში კომუნისტურმა პარტიამ, დე-გროტის სიტყვით, გამოიჩინა მრავალი სისუსტე. მეორე მხრით, სოციალ დემოკრატიული ბელადები აქამდე ახერხებენ შეიკავონ მასები ბრძოლისაგან.

ჰოლანდიის კომუნისტების მთავარი ამოცანა, ხაზს უსვამს ამხ. დე-გროტი, არის მუშების კომუნისტების მიმართ უნდობლობის დაძლევა, რასაც სოციალ-დემოკრატიის ბელადები მრავალწლობით სთესავდენ.

ამხ. დე-გროტი აცხადებს, რომ ჰოლანდიის დელეგაცია სავსებით ეთანხმება დიმიტროვის თეზისებს და დასასრულ ხაზგასმით აღნიშნავს: ბრძოლა ჰიტლერისა და მისი ჰოლანდიელი ვასალების წინააღმდეგ ჰოლანდიის ფაშისტურ ჯგუფების სახით იმავე დროს წარმოადგენს ბრძოლას ჰოლანდიის დამოუკიდებლობისათვის, რასაც საფრთხე მოელის ფაშისტებისგანო.

თავმჯდომარე აცხადებს შესვენებას საღამოს 6 საათამდე.

5 აგვისტოს საღამოს სხდომის დღიური

საღამოს 6 საათზე თავმჯდომარე ამხ. **პიკი** ხსნის სხდომას, მიძღვნილს ენგელსის გარდაცვალების 40 წლისთავისადმი. მოხსენებისათვის სიტყვა ეძლევა ამხ. მანუილსკის. ამხ. მანუილსკის ტრიბუნაზე გამოჩენას კონგრესი მქუხარე ტაშით ხვდება, რომელიც რამდენიმე წუთს გრძელდება და თავდება „ინტერნაციონალის" მღერით.

ამხ. მანუილსკი თავის 2 საათიან შესანიშნავ და შინაარსიან მოხსენებაში იძლევა დიდი თეორეტიკოსისა და ბელადის, მგზნებარე რევოლუციონერ ენგელსის მოღვაწეობის მკაფიო დახასიათებას.

— ენგელსის გარდაცვალების წლისთავი — ლაპარაკობს ამხ. მანუილსკი,—ემთხვევა გარდატეხას მსოფლიო მუშათა მოძრაობაში; პროლეტარიატის გამარჯვება საბჭოთა კავშირში, კომუნისტური მოძრაობის ზრდა მთელს მსოფლიოში—მარქსისა და ენგელსის მოძღვრებისადმი ბოლომდე ერთგულების შედეგია. II ინტერნაციონალის დაშლა, მისი პარტიების დაპარცხება და გაკოტრება—მარქსისა და ენგელსისაგან ჩამოშორების შედეგია. ენგელსმა მარქსთან ერთად ზიდა პროლეტარიატის რევოლუციური თეორია „ჭეშმარიტი სოციალისტების", ლასალიანელების, პრუდონიზმის და ბაკუნიზმის წინააღმდეგ ბრძოლაში. მარქსმა და ენგელსმა დაგვანახვეს, რომ პროლეტარიატის გამოხსნა კაპიტალისტური მონობისაგან, მისი მიზანი არის ბურჟუაზიის ბატონობის დამხობა და პროლეტარიატის დიქტატურის დამყარება. ეს არის მთავარი და ძირითადი მარქსიზმში—ხაზს უსვამს ამხ. მანუილსკი.

მარქსი და ენგელსი მთელი თავიანთი სიცოცხლის განმავლობაში იბრძოდნენ ისეთი პარტიის შექმნისათვის, რომელსაც შეეძლებოდა პროლეტარიატის წაყვანა ძალაუფლების დასაპყრობად და პროლეტარული დიქტატურის დასამყარებლად. ბოლშევიკებმა, შექმნეს რა ეს პარტია ლენინისა და სტალინის ხელმძღვანელობით, შესძლეს პროლეტარიატისა და მშრომელი გლეხობის მილიონიანი მასების წაყვანა ბურჟუაზიული სახელმწიფოს დასამხობად, პროლეტარული დიქტატურის დასამყარებლად საბჭოების ფორმით და იმ უკლასო საზოგადოების შესაქმნელად, რომელიც დაგვიხატა მარქსიზმის ფუძემდებელთა გენიამ.

მაგრამ,—ხაზს უსვამს ამხ. მანუილსკი,— ენგელსი იყო არა მარტო დიდი თეორეტიკოსი, როგორც მარქსი, ის იყო, პირველ ყოვლისა რევოლუციონერი, რევოლუციის ტაქტიკოსი და სტრატეგი, რომლისგანაც ჩვენ ბევრი რამ უნდა ვისწავლოთ.

ამხ. დიმიტროვის მოხსენებით,—აცხადებს ამხ. მანუილსკი,—კონგრესმა განსაკუთრებით მკაფიოდ გაუსვა ხაზი თავის სურვილს იბრძოლოს ერთიანი მუშური პარტიისათვის ყოველ ცალკე ქვეყანაში და მთელს მსოფლიოში. ამხ. მანუილსკის ეს სიტყვები მთელი დარბაზის მქუხარე ტაშს იწვევს.

მარქსისა და ენგელსის მოძღვრება, როგორც ამას ხაზს უსვამდა ლენინი—ეს არის არა დოგმა, არამედ სახელმძღვანელო რევოლუციური მოქმედებისათვის. მეორე ინტერნაციონალის ბელადები გახდნენ არა ენგელსის, არამედ მისი მტრების საქმის გამგრძელებლები, დღეს ბოლშევიკებმა, ლენინმა და სტალინმა, მარქსიზმი წასწიეს წინ და აიყვანეს ახალ საფეხურზე.

მეორე ინტერნაციონალი,—ლაპარაკობს ამხ. მანუილსკი,—იშლება. როგორც დამპალი ქსოვილი, მაგრამ მშრომელი ხალხი, ყოველივე, რაც კი ცოცხალი, პატიოსანი, მოაზროვნე და რევოლუციურია, სულ უფრო მჭიდროდ იყრის თავს კომუნისტური ინტერნაციონალის ირგვლივ, რომელიც იბრძვის მარქს-ენგელს-ლენინ-სტალინის დროშის ქვეშ, მთელი მსოფლიო პროლეტარული რევოლუციის ინტერნაციონალის დროშის ქვეშ.

კომუნისტური ინტერნაციონალი იქცა გზის მაჩვენებელ ვარსკვლავად და გაჭირვებისა, ფაშიზმისა და ომებისაგან კაცობრიობის ხსნის ღუზად.

„გაუმარჯოს კომუნისტურ ინტერნაციონალს, მარქს-ენგელს-ლენინ-სტალინის დიდ უძლეველ პარტიას"—ათავებს სიტყვას ამხ. მანუილსკი. გაისმის მქუხარე ტაში, რომელიც ოვაციაში გადადის. ყველანი ფეხზე დგებიან ყოველი მხრიდან ისმის რევოლუციური ლოზუნგები, შეძახილი „ვაშა". დელეგატები მღერიან „ინტერნაციონალს" და ფრანგულ „კარმანიოლას".

* *

შესვენების შემდეგ თავმჯდომარე ამხ. პიკი აცხადებს, რომ კონგრესის მისასალმებლად მოსულია პარაშუტისტთა პირველი საკავშირო შეკრების დელეგაცია. ტრიბუნაზე ადიან ამხ. მაშკოვსკი, ნინა კამნევა, ანა შიშმარევა და გალინა პასეცკაია რომლებმაც ორი დღის წინ პარაშუტით სიმაღლიდან ჟანგბადის უხელსაწყოდ გადმოხტომაში დაამყარეს მსოფლიო რეკორდი. დიდხანს არ სწყდება ოვაციები. საპარაშუტო პირველი საკავშირო შეკრების სახელით კონგრესს ესალმება ამხ. მაშკოვსკი. მოკლე მისალმების უკანასკნელ სიტყვებს ფარავს მქუხარე ტაში. ამხ. პიკი კონგრესის სახელით გამოხატავს აღტაცებას საბჭოთა მფრინავებისა და პარაშუტისტთა გმირობის გამო.

ქანდარებიდან გაისმის მარშის ხმები. გაბედული და დინჯი ნაბიჯით თაიგულებით ხელში შემოდის პროფესიულ კავშირთა მეორე საკავშირო სპარტაკიადის დელეგაცია, რომელსაც დელეგატები რიტმიული ტაშით ხვდებიან. ტრიბუნაზე მისალმებისათვის გამოდის ამხ. ბიკოვა, რომელმაც ამ დღეებში 500 მეტრის მანძილზე გარბენაში მსოფლიო რეკორდი დაამყარა. იგი მხურვალე ძმურ სალამს უძღვნის კომინტერნს მსოფლიოში ყველაზე ბედნიერი ხალხის—ლენინისა და სტალინის საქმის ერთგულ, ასი ათასობით თავისუფალ და მამაც ვაჟებისა და ქალიშვილების სახელით.

იგი უპატაკებს კონგრესს, რომ მის პატივსაცემად სპარტაკიადაზე მიღწეულია მთელი რიგი მსოფლიო და საკავშირო რეკორდები. დელეგატების აღფრთოვანება გადადის მქუხარე ხანგრძლივ ოვაციაში. ისმის „ინტერნაციონალის" ხმები, ამხ. ბიკოვა ცოცხალი ყვავილების თაიგულს გადასცემს პრეზიდიუმის მაგიდასთან მჯდომ ამხ. დიმიტროვს. მის შემდეგ დელეგაციის ყველა მონაწილე სთავაზობს კონგრესის დელეგატებს ყვავილების თაიგულებს.

ამხ.პიკი კვლავ იღებს სიტყვას და კონგრესის სახელით მადლობას უძღვნის და მიესალმება ახალ სოციალისტურ ადამიანებს სპარტაკიადის მონაწილეთა სახით. სამგზის „როტ ფრონტ" ჰქუხს სვეტებიან დარბაზში. ტრიბუნაზე ადის შუცბუნდელთა დელეგაცია, რომელსაც მთელი დარბაზი მქუხარე ტაშით და „ვაშას", „როტ ფრონტის" ძახილით ესალმება. მისალმებით გამოდის ფლორიდსდორფის საბარიკადო ბრძოლების მონაწილე ამხ. **როშერი**. საბჭოთა კავშირში მცხოვრებ ყველა შუცბუნდელის სახელით მან კონგრესის პატივსაცემად სამჯერ დაიძახა „როტ ფრონტ", რასაც მთელი დარბაზი გამოეხმაურა. მარტივი, გასაგები, მაგრამ ღრმად ამაღელვებელი სიტყვებით ლაპარაკობს ამხ. როშერი შუცბუნდელთა მიერ რეფორმიზმიდან კომუნიზმამდე განვლილი გზის შესახებ.

ვენის ბარიკადებზე, ამბობს იგი, ჩვენ ვიპოვეთ ის ერთადერთი გზა, რომელსაც მივყევართ მუშათა კლასის გამარჯვებისაკენ, გზა მეორე ინტერნაციონალიდან მესამე ინტერნაციონალისაკენ, გზა რეფორმიზმიდან კომუნიზმისაკენ.

ამხ. როშერის ამ სიტყვებს დელეგატები მქუხარე ტაშით და მისალმების შეძახილებით ხვდებიან. როცა შუცბუნდელები დარბაზიდან გადიან, დამსწრენი მათ მქუხარე ოვაციებს უმართავენ.

ჯერ კიდევ არ დამცხრალა ოვაციები და დელეგატთა სკამებზე კვლავ აზვირთდა მისალმებათა ახალი ტალღა. დარბაზში შემოდის ესპანეთის სოციალისტთა-პოლიტემიგრანტთა დელეგაცია; კონგრესის დელეგატები მათ ესალმებიან პარიზის პროლეტარიატის საბრძოლო სიმღერით „კარმანიოლათი".

დელეგაციის სახელით გამოდის ამხ. **ანტონიო**.

ალბათ, ამბობს იგი, ეს პირველი შემთხვევაა, რომ ამ ტრიბუნიდან გამოდის სოციალისტი. უაღრესად მნიშვნელოვანი იქნებოდა, რომ ამ ტრიბუნაზე გამოსულიყო რომელიმე დიდი ავტორიტეტიანი ამხანაგი მეორე ინტერნაციონალის რიგებიდან. მაგრამ ვინმემ ხომ უნდა დაიწყოს. თუმცა მე არ წარმოვადგენ მნიშვნელოვან ფიგურას მეორე ინტერნაციონალში, მაგრამ, მიუხედავად ამისა, ჩემი გამოსვლა უკვე არის რევოლუციის გამარჯვებისათვის, პროლეტარიატის გამარჯვებისათვის ბრძოლის საფუძველზე გაერთიანების დასაწყისი.

ამხ. ანტონიოს ამ სიტყვებს კონგრესი ხანგრძლივი მქუხარე ოვაციებით ხვდება. შემდეგ დელეგაციის კომუნისტური ნაწილის სახელით გამოდის ამხ. ლიუცი, რომელიც დიდი ენტუზიაზმით ესალმება კონგრესს.

საღამოს 10 საათსა და 15 წუთზე სხდომა დაიხურა.

7 აგვისტოს გაგრძელდება კამათი ამხ. დიმიტროვის მოხსენების გარშემო (ადს).

7 აგვისტოს დილის სხდომის დღიური

7 აგვისტოს დილის სხდომა იხსნება ამხ. **კელერის** (ჩეხოსლოვაკიის კომპარტია) თავმჯდომარეობით. გრძელდება კამათი ამხ. დიმიტროვის მოხსენების გამო. პირველი გამოდის ამხ. **ვალტერი** (გერმანიის კომპარტია) მის ტრიბუნაზე გამოჩენას დელეგატები ტაშით ეგებებიან.

ორსაათიან მკაფიო და შინაარსიან სიტყვაში, რომელიც აღსავსეა გერმანიის კომპარტიის რევოლუციური ბრძოლის პრაქტიკის კონკრეტული მაგალითებით, იგი გვიხატავს იმ გზებს, რომლითაც გერმანიის მშრომელნი მიდიან თავის განთავისუფლებისაკენ. ამხ. ვალტერი ლაპარაკობს გერმანიის მუშათა კლასის ბრძოლის ახალ მეთოდებზე და, კერძოდ, ჩერდება ამ ბრძოლის ერთერთ ფორმაზე — პასიურ წინააღმდეგობაზე; იგი განმარტავს ამ ახალ მეთოდებს მთელი რიგი მკვეთრი და დამახასიათებელი მაგალითებით. ამხ. ვალტერი ლაპარაკობს, რომ აუცილებელია ბრძოლა ყველგან, სადაც მასები არიანო და, ამბობს:

— ლეიპციგის პროცესზე ამხ. დიმიტროვმა ნიღაბი ჩამოგლიჯა ფაშიზმს. მან გვიჩვენა ჰიტლერის ფაშიზმის ბარბაროსული რეაქციული სახე. ახლა ამხანაგ დიმიტროვი თავის მოხსენებაში გვასწავლის თუ ანტიფაშისტურმა ძალებმა როგორ უნდა აწარმოონ ბრძოლა ფაშისტურ ორგანიზაციებში, ლეგალური შესაძლებლობათა გამოყენებით, და დაიცვან ფართო მასების ინტერესები, მშრომელთა ყველა წრის დემოკრატიულ თავისუფლებათა ინტერესები.

ამხ. ვალტერის ამ სიტყვებს მთელი კონგრესი მქუხარე ტაშით ეგებება.

მასების გმირობა იზრდება, ამბობს შემდეგ ამხ. ვალტერი, იზრდებიან მასობრივი ბრძოლის გმირები.

მაგრამ საჭიროა არალეგალობის კედლის განგრევა და ბრძოლის მთელ რიგ ნახევრადლეგალურ ფორმებზე გადასვლა.

ფართო მასები, განაგრძობს ის, გვეკითხებიან ჰიტლერის ფაშიზმის დამხობის გზების შესახებ. ამის პასუხი შეიძლება ერთი იყოს: ფაშიზმის დამხობის გზა — ეს არის ერთიანი პროლეტარული ფრონტის ანტიფაშისტური ბრძოლა, სახალხო ფრონტის ანტიფაშისტური ბრძოლა.

გერმანიის მუშათა კლასი, განაგრძობს შემდეგ ამხ. ვალტერი, ძლიერ მიისწრაფვის ერთიანობისაკენ. სოციალ - დემოკრატიის ზოგ „მემარცხენე" ბელადს სურს მუშათა ეს მისწრაფება გამოიყენოს რაღაც ახალი სოციალისტური პარტიის შესაქმნელად და ამით მხოლოდ გააღრმაოს მუშათა კლასის გათიშვა. ამხ. დიმიტროვმა აღნიშნა მთელი რიგი პირობები პროლეტარიატის ერთიანი პარტიის შესაქმნელად. ამხ. ვალტერი ეკითხება მემარცხენე სოციალ - დემოკრატ ბელადებს: თანახმა ხართ თუ არა კომუნისტურ პარტიასთან ერთად იბრძოლოთ პროლეტარიატის ერთიანი პარტიის შესაქმნელადო. პირველი ნაბიჯი ამ მხრივ იქნება მოქმედების ერთიანობა ფაშიზმის წინააღმდეგ ბრძოლაში.

ამხ. ვალტერი ჩამოსთვლის კომპარტიის მიერ წამოყენებულ მთელ რიგ ლოზუნგებს დემოკრატიულ თავისუფლებათა მოთხოვნის შესახებ, რის მეოხებითაც კომუნისტები ამჭიდროებენ გერმანიის ხალხის ფართო მასებს ფაშიზმის წინააღმდეგ ბრძოლაში. ის ლაპარაკობს, რომ კომუნისტები კათოლიკე მშრომელებთან ხელიხელჩაკიდებულნი იბრძოდნენ ფაშისტური ტერორის წინააღმდეგ.

— ჩვენ ვეუბნებოდით მათ, — ამბობს ამხ. ვალტერი, — რომ მზად ვართ მათთან ერთად ვიბრძოლოთ სინდისის თავისუფლებისათვის, ვინაიდან ჩვენ ორივეს ერთი მტერი გვყავს — ჰიტლერი.

ამხ. ვალტერი აღნიშნავს, რომ გერმანიის კომუნისტური პარტიის უახლოესი ამოცანა არის ფაშისტური რეჟიმის დამხობა და გადადის ანტიფაშისტური სახალხო მთავრობის შედგენის შესაძლებლობაზე, რომელიც შეიძლება შესდგეს მხოლოდ ერთიანი სახალხო ფრონტით წარმოებული ფართო ბრძოლის შედეგად და უნდა ემყარებოდეს სახალხო ფრონტის საბრძოლო ორგანოებს.

მქუხარე ოვაციას იწვევს ამხ. ვალტერის უკანასკნელი სიტყვები, რომელშიც მან მოიყვანა ლენინის მიერ კომინტერნის IV კონგრესზე წარმოთქმული სიტყვები მასებში ბრძოლის, მასებისათვის ბრძოლის შესახებ. ყველა დელეგატი ფეხზე დგება. გაისმის შეძახილები: „როტ ფრონტ".

შესვენების შემდეგ პრეზიდიუმის ტრიბუნაზე სდგამენ დიდ რუკას, რომელიც უჩვენებს ჩინეთის საბჭოთა და პარტიზანული რაიონების განვითარებას ჩან კაიშის V და VI ლაშქრობიდან მოკიდებული. ალისფერს, რომელიც აღნიშნავს საბჭოთა და პარტიზანულ ახალ რაიონებს, უჭირავს რუკაზე რამდენჯერმე მეტი სივრცე, ვინემ მუქ წითელ ფერს, რომელიც აღნიშნავს საბჭოთა და პარტიზანულ იმ რაიონებს, რომელნიც არსებობდნენ მეხუთე ლაშქრობის მომენტისათვის, და როდესაც თავმჯდომარე სიტყვას აძლევს ამხ. ვან-მინს, მთელი დარბაზი ფეხზე დგება და მქუხარე ოვაციები დიდხანს საშუალებას არ აძლევს ჩინეთის კომუნისტური პარტიის წარმომადგენელს დაიწყოს სიტყვა.

ამხ. ვან-მინი აშუქებს კოლონიალურ და ნახევრად კოლონიალურ ქვეყნებში რევოლუციური მოძრაობის პრობლემებს და ამ ქვეყნების კომუნისტურ პარტიათა ტაქტიკურ ხაზს. ძირითადი და ყველაზე უფრო დამახასიათებელი მომენტები, რომლებიც განსაზღვრავენ პოლიტიკურსა და ეკონომიურ მდგომარეობას კოლონიალურ ქვეყნებში კომინტერნის VI-დან VII კონგრესამდე, ამბობს ამხ. ვან-მინი, — მთლიანად და სავსებით ადასტურებენ იმ შეფასების სისწორეს, რომელიც მოგვცა კომინტერნის VI კონგრესმა. აშკარაა, რომ სოციალ - დემოკრატებისა და რენეგატების (როისა და სხვათა) „დეკოლონიზაციის" თეორიამ ისეთივე სრული კრახი განიცადა, როგორიც განიცადა მათმავე თეორიამ „მოწესრიგებული კაპიტალიზმის" შესახებ. იმ ფაქტმა, რომ იზრდება სამხედრო, ეკონომიური და პოლიტიკური ექსპანსია კოლონიალურ აღმოსავლეთში, ლათინურ ამერიკაში და აფრიკაში, აცხადებს ამხ. ვან-მინი საფრთხეში ჩააგდო მთელი რიგი ნახევრად კოლონიალური ხალხების ნაციონალური არსებობა.

ამ პირობებში იზრდება ხალხის საერთო უკმაყოფილება და აღშფოთება იმპერიალიზმის მიმართ. მწვავდება წინააღმდეგობა კოლონიალურ და იმპერიალისტურ ბურჟუაზიას შორის, ერთმანეთის მეტოქე იმპერიალისტურ სახელმწიფოებს შორის; სუსტდება ნაციონალ-რეფორმიზმის გავლენა, იზრდება როლი და ავტორიტეტი პროლეტარიატისა და მისი ავანგარდის, — კომუნისტური პარტიებისა. ყოველივე ამისაგან, ამბობს ამხ. ვან-მინი, გამომდინარეობს ყველაზე ძირითადი და ყველაზე დამახასიათებელი მომენტი, სახელდობრ კოლონიალური რევოლუციების ძალთა ზრდა.

ამხ. ვან-მინი გადადის ანტი იმპერიალისტური ერთიანი ფრონტის ტაქტიკის შექმნაზე და პირველ მაგალითად ჩინეთს ასახელებს. ფაქტები ნათლად გვიჩვენებენ, ამბობს ამხ. ვან-მინი, რომ თანამედროვე ჩინეთში ანტიიმპერიალისტურ სახალხო ფრონტს გადამწყვეტი როლი აქვს.

შემდეგ ამხ. ვან-მინი აყენებს იმ პირობებს, რომელნიც შეიძლებოდა საფუძვლად დასდებოდა ჩინეთში ნაციონალური თავდაცვის სახალხო მთავრობის შექმნის პოლიტიკურ პროგრამას და ხაზს უსვამს, რომ კომპარტია მზად არის აწარმოოს მოლაპარაკება ასეთი მთავრობის შესაქმნელად. ამხ. ვან-მინი მიდის რუკასთან და უჩვენებს ჩინეთის წითელმა არმიამ როგორ მოაწყო გმირული ლაშქრობა და გაიარა 9 პროვინციის ტერიტორია 3 ათას კილომეტრ მანძილზე მეტი. ჩინეთის წითელი არმიის რეგულარული ნაწილები ამჟამად თითქმის ნახევარ მილიონს აღწევს. ჩინეთის კ. პ. ც. კომიტეტის ლოზუნგი, ამბობს ამხ. ვან-მინი, რომელიც შეეხება ჩინეთის წითელი არმიის რეგულარული ნაწილების მილიონამდე გადიდებას და ჩინეთის საბჭოთა რაიონების ტერიტორიის გაფართოებას 100 მილიონ მოსახლეობამდე, სრულიად რეალური შეიძლება შეიქნეს უახლოეს პერიოდში.

შემდეგ ამხ. ვან-მინი ეხება სხვა კოლონიალურ და ნახევრადკოლონიალურ ქვეყნებს და თავისი სიტყვის პირველ ნაწილს ბრაზილიის მდგომარეობის ანალიზით ამთავრებს.

ცხადდება შესვენება საღამოს 6 საათამდე.

გასწორება

„კომუნისტი"ს გუშინდელ ნომერში მოთავსებული „პრავდის" მეთაურის („მუშათა კლასის მთლიანობისათვის ბრძოლის პროგრამა") მეორე სვეტის მეშვიდე აბზაცში კორექტორის დაუდევრობით დაშვებულია კორექტურული შეცდომა, რომელიც უხეშად ამახინჯებს აზრს. სწერია: „მაგრამ, როგორც ხალხის ჭეშმარიტი მეგობრები, კომუნისტები გამოდიან **ომის** წინააღმდეგ რომ ბურჟუაზიული დემოკრატია შეიცვალოს მონოპოლისტური კაპიტალის აშკარა ტერორისტული დიქტატურით"... და სხვა უნდა იყოს: „მაგრამ, როგორც ხალხის ჭეშმარიტი მეგობრები, კომუნისტები გამოდიან **იმის** წინააღმდეგ, რომ ბურჟუაზიული დემოკრატია შეიცვალოს მონოპოლისტური კაპიტალის აშკარა ტერორისტული დიქტატურით"... და სხვა.

საქართველოს

ეროვნული ბიბლიოთეკა

კომინტერნის VII მსოფლიო კონგრესი

კამათი ამხ. გიორგი დიმიტროვის მოხსენების გარშემო

7 აგვისტოს საღამოს სხდომის დღიური

7 აგვისტოს საღამოს სხდომა იხსნება ამხ. ბრონკოვსკის (პოლონეთის კომპარტია) თავმჯდომარეობით.

პირველი გამოდის ამხ. გენრიკოვსკი (პოლონეთის კომპარტია), რომელიც აშუქებს პროფკავშირული მოძრაობის კონკრეტულ ამოცანებს პოლონეთში და მოუთხრობს დამსწრეთ, თუ რა წარმატებანი აქვს ერთიანი ფრონტის პოლიტიკას, რომელიც გაჰყავს პოლონეთის კომუნისტურ პარტიას პროფესიონალურ კავშირებში.

შემდეგ კონგრესის პრეზიდიუმის სახელით გამოდის ამხ. პოლიტი, რომელიც კითხულობს დეკლარაციას სიკვდილით დასჯის ორი ახალი განაჩენის შესახებ, რომელიც გამოიტანეს უკანასკნელ დღეებში გერმანიაში ამხანაგ კლაუსს და კაიზერს. ის ენერგიულ პროტესტს აცხადებს ფაშისტური ტერორის ამ ახალი აქტის წინააღმდეგ და მოუწოდებს მსოფლიოს ყველა ხალხს მოაწყონ კამპანია სიკვდილმისჯილ ანტიფაშისტების დასაცავად, არ დაუშვან ჰიტლერის ფაშიზმის ახალი მხეცური ბოროტმოქმედება.

კონგრესი მქუხარე ტაშით ერთხმად უერთდება ამხ. პოლიტის განცხადებას.

შემდეგ მოკლე, მაგრამ ღრმა შინაარსიანი და მკაფიო სიტყვით გამოვიდა ჩეხოსლოვაკიის კომუნისტური პარტიის წარმომადგენელი ამხ. გოტვალდი, რომელსაც მთელი კონგრესი ოვაციებით შეხვდა. დიდი ყურადღებით მოისმინეს მისი სიტყვა, რომელსაც არაერთხელ აწყვეტინებდნენ ტაშით.

ამხ. გოტვალდი აღნიშნავს ფაშისტური საშიშროების ზრდას ჩეხოსლოვაკიაში.

ჩეხოსლოვაკიის ყველა ერი, — ამბობს ამხ. გოტვალდი, — დაინტერესებულია მშვიდობიანობის შენარჩუნებით, რადგან მათ ემუქრება გერმანიის, უნგრეთის და პოლონეთის ფაშიზმის ჩექმის ქვეშ მოქცევის საშიშროება.

ამხ. გოტვალდი აცხადებს, რომ ის კონგრესის ამ ტრიბუნიდან კვლავ წინადადებას აძლევს ჩეხიის სოციალ-დემოკრატებს დაუყოვნებლივ დაიწყონ მოლაპარაკება ერთიანი ფრონტის შესახებ.

— ჩვენ გავაკეთებთ ყველაფერს, — ათავებს თავის სიტყვას ამხ. გოტვალდი, — რომ ფაშიზმის ტალღამ არ წალეკოს ჩეხოსლოვაკია, რომ ჩეხოსლოვაკია გადავაქციოთ ფაშიზმთან ბრძოლის ციხესიმაგრედ.

ამხ. გოტვალდის უკანასკნელი სიტყვები იფარება მქუხარე ოვაციით. ყველა დელეგატი ფეხზე დგება. დელეგატთა სკამებიდან ისმის მისასალმებელი შეძახილები.

მცირე შესვენების შემდეგ, 8 საათსა და 30 წუთზე, საღამოს სხდომა განახლდა და თავმჯდომარემ ამხ. ბრონკოვსკიმ სიტყვა მისცა ამხ. ვან-მინს მისი გამოსვლის დასამთავრებლად. ამხ. ვან-მინი თავისი სიტყვის დასკვნითს ნაწილს უძღვნის ლათინური ამერიკის, არაბეთის და შორეული აღმოსავლეთის ქვეყნებში ერთიანი სახალხო ანტიიმპერიალისტური ფრონტის ორგანიზაციის ამოცანებს.

ამხ. ვან-მინის უკანასკნელი სიტყვები მქუხარე ოვაციას იწვევს. დელეგატები ფეხზე დგებიან და მღერიან რევოლუციურ სიმღერებს სხვადასხვა ენებზე.

ამხ. დიმიტროვის მოხსენების ირგვლივ კამათი გაგრძელდება 8 აგვისტოს.

ამხ. ფლორინის სიტყვა

(გერმანიის კომპარტია)

ფაშისტური დიქტატურის მასობრივი ბაზის დანგრევა, უწინარეს ყოვლისა, დამოკიდებულია პროლეტარიატის მოქმედი ენერგიის გაშლაზე, პროლეტარული ერთიანი ფრონტის შექმნაზე, ახლა უკვე მიმდინარეობს პროლეტარიატის ყველაზე აქტიური ფენების შეკრებისა და შემჭიდროების პროცესი. მაგრამ ამავე დროს ჩვენ უნდა აღვნიშნოთ: არსებობს მაკრატელი, ერთის მხრით, საერთო უკმაყოფილებასა, კომუნისტური პარტიისადმი ნდობის ზრდასა და, მეორე მხრით — პარტიის იმ უნარს შორის, რომ თავისი დამრაზმავი ძალის შემწეობით გაშალოს ფართო მოძრაობა ერთიანი ფრონტისათვის. ეს მაკრატელი რომ მოვკვეცოთ, ამისთვის საჭიროა გადაჭრით გადავლახოთ შეცდომები და სუსტი მხარეები ჩვენს მუშაობაში.

სოციალ-დემოკრატ მუშების წინაშე ჩვენ გავკიცხეთ მათი ბელადების როლი ფაშიზაციის საერთო პროცესში, მაგრამ ვერ გამოვიყენეთ სოციალ-დემოკრატიის ხელმძღვანელობასა და მასებს შორის არსებული წინააღმდეგობანი ფაშისტური დიქტატურის დამყარებამდე.

ჩვენ საკმაოდ ვერ გავითვალისწინეთ ის გარემოება, რომ სოციალ-დემოკრატიის წიაღში, მათ შორის ფუნქციონერთა შორისაც დაიწყო გამემარცხენების პროცესი.

მიმდინარე წლის დამდეგისათვის ჩვენმა პარტიამ თავისი შეცდომების სერიოზული კრიტიკის შემდეგ გადაჭრით დაიწყო შემობრუნება ერთიანი პროლეტარული ფრონტის პოლიტიკისაკენ, სახალხო ფრონტის პოლიტიკისაკენ, რომელიც აერთიანებს ქვეყნის ყველა ანტიფაშისტურ ძალას. ჩვენ აღვნიშნეთ, რომ სექტანტობა განსაკუთრებით მკაფიოდ იჩენდა თავს უფართოესი ერთიანი ფრონტის გაშლისათვის წინააღმდეგობის გაწევაში, თავისუფალი პროფკავშირების შექმნისათვის წინააღმდეგობის გაწევაში, მემარცხენე და მემარჯვენე სოციალ-დემოკრატ ფუნქციონერებისა და ხელმძღვანელებისადმი არადიფერენცირებულ მიდგომაში, მდგომარეობის ცრუ-რადიკალურ შეფასებაში, თვითკრიტიკის შეუფასებლობაში. სოციალ-დემოკრატ მუშათა გარევოლუციონერების პროცესი უკანასკნელ დროს დიდი წარმატებით მიმდინარეობს ერთის მხრით — ომის საფრთხის გამწვავების, ფაშისტთა მხეცური ტერორის გაძლიერების ზეგავლენით და მეორეს მხრით — საბჭოთა კავშირის სამშვიდობო პოლიტიკის და ჩვენი ერთიანი ფრონტის პოლიტიკის ზეგავლენით.

ამ პირობებში ჩვენ საერთაშორისო პროლეტარიატის ტრიბუნიდან კვლავ მოწოდებით მივმართავთ სოციალ-დემოკრატიული პარტიის რეორგანიზებულ ხელმძღვანელობას და მის ყოველ წევრს შექმნან ერთიანი ფრონტი ჩვენთან, კომუნისტებთან, ერთად, ჯერ თუნდაც ტერორის წინააღმდეგ საერთო ბრძოლის საწარმოებლად.

გერმანიის ახალგაზრდობაში იზრდება და ფართოვდება ოპოზიციური, ხშირად საბრძოლო, განწყობილებანი. არსებობს ყველა წინაპირობა, რომ შევქმნათ ახალგაზრდობის ფართო მოძრაობა, რომელიც გააერთიანებს ჰიტლერის რეჟიმით უკმაყოფილო ყველა ელემენტს. შევქმნათ ეს მოძრაობა ყველა იმ ორგანიზაციის შიგნით გეგმაშეწონილი, სისტემატური მუშაობის მეოხებით, რომლებიც ახალგაზრდობას აერთიანებენ, — ასეთია პარტიის და კომკავშირის ახალი ცენტრალური ამოცანა ახალგაზრდობაში მუშაობის ხაზით.

დღემდე ჩვენ მხოლოდ გაუბედავად ვაცხადებდით, რომ საჭიროა ლეგალურ და ნახევრად ლეგალურ შესაძლებლობათა გამოყენება. საჭიროა აშკარად და გაბედულად ვთქვათ, რომ მუშაობა ფაშისტური მასობრივი ორგანიზაციების შიგნით ჩვენი მუშაობის მთავარ მეთოდად უნდა შეიქნეს.

სოციალური დემაგოგია — აი ის იარაღი, რომლის შემწეობითაც ფაშისტები სცდილობენ პროლეტარიატის განიარაღებას. უნდა მივაღწიოთ იმას, რომ მათ მიერ გასროლილი სოციალ-დემაგოგიური ტყვიები ისევ მათ მოხვდეს. ჩვენი მოძმე საფრანგეთის პარტია გვაძლევს იმის მაგალითს, თუ როგორ უნდა წარმატებით ბრძოლა სახალხო ფრონტისათვის ფაშიზმის წინააღმდეგ.

უახლოესი მიზანი, რომლის გარშემო ჩვენ შეგვიძლია შემოვიკრიბოთ და ავამოძრაოთ ყველა ის, ვისაც ჯერ კიდევ არ ჰსურს შემდგომი წინსვლა — ეს არის ბრძოლა ხალხის დემოკრატიული უფლებებისა და თავისუფლებისათვის. იმ შემთხვევაში თუ მიღწეულ იქნა შეთანხმება და შეიქმნა ფართო სახალხო ფრონტი ფაშისტების წინააღმდეგ, ჩვენ გარემოების მიხედვით მხარს ვუჭერთ ანტიფაშისტური სახალხო ფრონტის მთავრობის ლოზუნგს.

რომ შევაიარაღოთ გერმანიის კომუნისტური პარტია ამ დიადი მუშაობისათვის, ამისთვის საჭიროა შევქმნათ მთელი რიგი პირობები. ეს პირობებია: პოლიტიკური ხაზის ერთიანობა, შეცდომებისა და სუსტი მხარეების კოლექტიურად გადალახვა, მუშაობის სტალინური სტილი, რომლის დროსაც მუშაკთა შერჩევა და განაწილება ექვემდებარება ამოცანათა დედაარსს, ისეთი კადრების სიყვარულით გამოზრდა, რომლებიც დაეხმარებიან მათ შეცდომების გამოსწორებასა და წინსვლაში.

ფაშიზმმა მთელი თავისი სიძულვილის ცეცხლი წარმართა ჩვენი ქვაკუთხედი საფუძვლის წინააღმდეგ, ჩვენი ინტერნაციონალიზმის წინააღმდეგ.

ჩვენ ვამაყობთ იმით, რომ დიმიტროვმა ასე სასახელოდ დაიცვა ლეიპციგის პროცესზე ჩვენი პარტიის ღირსება, ჩვენ ვამაყობთ იმით, რომ კომუნისტურმა ინტერნაციონალმა ჩვენი ერნსტ ტელმანი, რომელიც მტრების ტყვედ იმყოფება, აირჩია მე-7 მსოფლიო კონგრესის საპატიო თავმჯდომარედ, ჩვენ ვამაყობთ ჩვენი შემჭიდროებით კომუნისტური ინტერნაციონალის მონოლიტურ რიგებში (ტაში).

ამხ. ტორეზის სიტყვა

(საფრანგეთის კომპარტია)

მარსელ კაშენმა უკვე დაუხატა კონგრესს საფრანგეთის მშრომელთა დიადი ანტიფაშისტური ბრძოლის სურათი. ამ ბრძოლას, უეჭველად უდიდესი საერთაშორისო მნიშვნელობა აქვს. ამ ბრძოლის შედეგებზე დამოკიდებული იქნება მთელი რიგი წლების განმავლობაში საფრანგეთის ხალხისა და ევროპის სხვა ქვეყნების ხალხთა ბედი.

სახალხო ფრონტის ძლიერმა დემონსტრაციებმა საფრანგეთში რომ მოხდა 14 ივლისს, ფართო გამოხმაურება ჰპოვა მთელ მსოფლიოში. ანტიფაშისტურ მოძრაობას ჩვენში დიდი გასაქანი მიეცა.

მიუხედავად ამისა, როგორც ეს დაბეჯითებით აღნიშნა ამხ. დიმიტროვმა, მეტად საშიში იქნებოდა შეგვექმნა ილუზია, თითქოს ფაშიზმი უკვე დამარცხებული იყოს. მტერი არ არის განადგურებული. იგი თავისი ძალების გადაჯგუფებას ახდენს და ახალი იერიშებისათვის ემზადება. საშიშროება მატულობს. ფაშიზმის გამარჯვება იქნებოდა საფრანგეთის კატასტროფა, ალვირახსნილი რეაქციის ზეიმი მთელს ევროპაში. ფაშიზმის გამარჯვება საფრანგეთში სსრ კავშირის წინააღმდეგ მიმართული აგრესიის მომასწავებელი იქნებოდა.

ჩვენ გვინდა, რადაც უნდა დაგვიჯდეს, თავიდან ავიცილოთ ეს კატასტროფა, ვიხსნათ ამ საშინელებისგან ჩვენი ქვეყანა, მთელი ევროპა, მთელი მსოფლიო (ტაში).

დასაწყისი უკვე არის. პარტია ცდილობს უპასუხოს ყველა საჭირბოროტო კითხვას, თავისი გადაწყვეტა მისცეს ყველა აქტუალურ პრობლემას.

კომუნისტურ პარტიას შეუძლია იქონიოს გადამწყვეტი მნიშვნელობა მოვლენათა შემდგომი განვითარებისათვის, თუ იგი აქტიურად უხელმძღვანელებს სახალხო ანტიფაშისტურ ფრონტს. თუ მასების ზეგავლენით შეიქმნება ამ სახალხო ფრონტის მთავრობა, კომპარტია მას მხარს დაუჭერს ასეთ მთავრობას და შეიძლება, მონაწილეობაც მიიღოს მასში.

ერთი წლის წინათ კომპარტიისა და სოციალისტური პარტიის მიერ ხელმოწერილმა მოქმედების ერთიანობის პაქტმა ბევრი რამ მისცა საფრანგეთის მუშათა კლასს. მან გააძლიერა მასების მისწრაფება პროფკავშირული ერთიანობისაკენ, თუმცა ამას დიდად ეწინააღმდეგებოდა შრომის საყოველთაო კონფედერაცია და განსაკუთრებით ზოგიერთი მისი ხელმძღვანელი.

შექმნილია 700 გაერთიანებული პროფკავშირი. გაერთიანდნენ რკინისგზელთა კავშირები ორს გარდა. შექმნილია ერთიანი ადგილობრივი კავშირები და ერთიანი კავშირები დეპარტამენტების მასშტაბით.

მუშები გრძნობენ, რომ სოციალისტური პარტიის ზოგიერთი ბელადი სცდილობს გამონახოს ყოველი შესაძლებლობა სიძნელეთა გასაღრმავებლად, რათა ამით შეასუსტონ და სრულიადაც ჩაშალონ ერთიანი ფრონტი. ამით აიხსნება სოციალისტების გავლენის დაკარგვა იქ, სადაც ხელმძღვანელები წინააღმდეგობას უწევენ ერთიანი ფრონტის შექმნას ბოლომდე.

დიდი ხნის განმავლობაში სოციალისტური პარტიის ხელმძღვანელები უპირდაპირებდნენ ერთიმეორეს ერთიან ფრონტსა და ორგანიზაციულ ერთიანობას. მაგრამ ჩვენი პარტია ამაზე უპასუხებდა: „ერთიანი ფრონტი ერთიან პარტიასაც მოამზადებს". მაგრამ, როდესაც ჩვენი დაჟინებისა და მასების მხარის დაჭერის მეოხებით, მოქმედების ერთიანობა დამყარდა და იწყო განვითარება, ჩვენ თვითონ დავაყენეთ ჩვენს წინაშე ერთიანი პროლეტარული პარტიის საკითხი.

გადავდივარ ერთიანი ფრონტის საკითხთა დასკვნებზე. ერთიანმა ფრონტმა მუშათა კლასს დიდი სარგებლობა მოუტანა, საშუალება მისცა მას ძლიერი წინააღმდეგობა გაეწია ფაშიზმისა და კაპიტალის შემოტევისათვის. ერთიანმა ფრონტმა მუშათა კლასს საშუალება მისცა დაეპყრო წვრილ ბურჟუაზიის ფენა. ერთიანმა ფრონტმა განამტკიცა ჩვენი კომპარტია, მაგრამ ერთიანი ფრონტის უშუალო მიზანი კომუნისტური პარტიის განმტკიცებაში არ მდგომარეობდა; ეს განმტკიცება მას შედეგად უნდა მოჰყოლოდა. გაიზარდა პარტიის რაოდენობა, მისი გავლენა, ავტორიტეტი. მისი პერსპექტივები შესამჩნევად გაფართოვდა. გაიზარდნენ ჩვენი კადრებიც.

დიახ, ბევრი სიძნელე, ბევრი მერყეობა, ძიება იყო. ყველაფერი როდი იყო რიგზე, არც ახლაა ყველაფერი კარგად ჩვენს პარტიაში.

წარმატებებს მარტო ჩვენს პარტიაში როდი მივაღწიეთ, არამედ კომკავშირშიც. ჩვენმა კომკავშირმა ერთიხუთად გაადიდა თავისი რიცხობრივი შემადგენლობა, აქტიური მონაწილეობა მიიღო ამსტერდამის ომსაწინააღმდეგო მოძრაობაში, ერთიანი ფრონტის პლატფორმისკენ გაიყოლია რესპუბლიკური ახალგაზრდობის ორგანიზაციები, ახალგაზრდობის საბჭოთა ორგანიზაციები, სოციალისტური ახალგაზრდობა, წინააღმდეგ სოციალისტური პარტიის უარისა ხელშეკრულება დასდო სოციალისტურ ახალგაზრდობასთან.

კომკავშირმაც თავისი ცენ. კომიტეტის უკანასკნელ სხდომაზე გამოიმუშავა ერთიანი მოქმედების ხელშეკრულება ახალგაზრდობის ერთიანი ორგანიზაციის შექმნის მიზნით, და ახალი თაობის ერთიანი ფრონტის შესაქმნელად, რომელიც ემხრობა სახალხო ფრონტს.

გაერთიანდა საფრანგეთში მუშათა სასპორტო მოძრაობა, რომელმაც 10.000 ახალი წევრი შეიძინა. ამჟამად ეს მოძრაობა 40 ათასამდე წევრს ითვლის და დაკავშირებულია საბჭოთა და დემოკრატიულ სასპორტო ორგანიზაციებთან, რომელთაც 300.000 წევრი ჰყავთ.

არჩევნებზე ჩვენ იმ ტაქტიკას მივდევდით, რომ მუდამ ვცდილობდით ფაშისტური და რეაქციული კანდიდატების გაშავებას პირველი ტურის დროს დამოუკიდებლად ვეწეოდით საარჩევნო ბრძოლას. კენჭისყრის მეორე ტურის დროს კი ერთიანი მოქმედების ხელშეკრულების საფუძველზე ჩვენ მდგომარეობის მიხედვით ასე ვიქცეოდით: სოციალისტები — კომუნისტებს აძლევდნენ ხმას, კომუნისტები კი სოციალისტებს, მცირეოდენი გამონაკლისის გარდა. მუნიციპალურ არჩევნებზე ჩვენ რამდენიმე შემთხვევაში საერთო სიით გამოვედით.

ასეთი პოლიტიკა ხელს უწყობს ჩვენი პარტიის პრესტიჟის ზრდას. ამ გზით ჩვენ დავამარცხეთ სენის გენერალური საბჭოს უმრავლესობა, რომელიც 50 წლის განმავლობაში რეაქციონერების ხელთ იყო.

იმედი გვაქვს, რომ ჩვენი გამოცდილება სარგებლობას მოუტანს სხვა ქვეყნების მშრომელებს. განსაკუთრებით მივმართავ ჩვენს გერმანელ ძმებს. იმედი მაქვს, რომ მალე შესძლებენ მივიდნენ ჰიტლერის ქოფაკების მიერ კარლ ლიბკნეხტისა და როზა ლუქსემბურგის წაბილწულ საფლავზე, რათა ტელმანთან ერთად იზეიმონ გერმანელი მუშების გამარჯვება, რომელიც მუშათა კლასის ერთიანობის მეოხებით იქნება მოპოებული (ტაში).

ახლანდელი მდგომარეობა უფრო სერიოზულ მოთხოვნილებებს გვიყენებს ჩვენი მუშაობის დროს.

ჩვენ დიდ პასუხისმგებლობას ვკისრულობთ საფრანგეთის პროლეტარიატის წინაშე, ჩვენი ქვეყნის ხალხის წინაშე, საერთაშორისო პროლეტარიატის წინაშე. ჩვენ შეგნებული გვაქვს ეს პასუხისმგებლობა და ის ვალდებულებანი, რომელნიც ჩვენ გვაკისრია.

უნდა განვამტკიცოთ ჩვენი კომუნისტური პარტია და ვიხელმძღვანელოთ სტალინის სიტყვებით: „რევოლუციის გამარჯვება თავის თავად არასოდეს მოდის. იგი უნდა მომზადდეს და დაპყრობილ იქნას. მისი მომზადება და დაპყრობა კი შეუძლია მხოლოდ ძლიერ რევოლუციურ პროლეტარულ პარტიას".

ჩვენ გვაქვს ამ ამოცანათა შესრულებისათვის ნებისყოფა. ჩვენ გვინდა ღირსნი ვიყვნეთ ფრანგი ხალხის რევოლუციური წარსულისა სახელოვანი კომუნის მებრძოლთა და ახალი სოციალისტური სამყაროს მშენებელი ბოლშევიკური პარტიისა.

ვიცით, რომ ბრძოლა ძნელი იქნება, მაგრამ გვჯერა გამარჯვება, ჩვენ არ გვეშინია, დიმიტროვის მოწოდებით, მკერდი მივუშვიროთ მოელვარე ტალღებს. (მქუხარე და ხანგრძლივი ტაში. დელეგატები ფეხზე დგანან და მღერიან „ინტერნაციონალს". გერმანიის დელეგაცია ხმამაღლა გაიძახის: „როტ ფრონტ").

ამხ. პოლიტის (ინგლისის კომპარტია)

დეკლარაცია ახალი სასიკვდილო განაჩენების შესახებ გერმანიაში

ამხანაგებო! ჩვენ VII მსოფლიო კონგრესის ყურადღება უნდა მივაქციოთ ორ ახალ სასიკვდილო განაჩენს, რომლებიც გამოუტანეს სახელოვან ანტიფაშისტურ მებრძოლთ გერმანიაში. დედამიწის ზურგზე ეს პირველი შემთხვევაა, რომ სასამართლოს, თუნდაც ჰიტლერის ფაშიზმის სისხლიან სასამართლოს, სასიკვდილო განაჩენი გამოაქვს ჩვენი ამხანაგებისათვის მხოლოდ მათი პოლიტიკური რწმენის გამო. ჩვენ ვლაპარაკობთ ჩვენს ამხანაგ რუდოლფ კლაუსზე, რემედასის გერმანიის სექციის ხაზინადარზე, ერთერთზე იმ უაღრესად აქტიურ მუშაკთა შორის, რომელნიც შემწეობას აძლევენ დაპატიმრებულ ანტიფაშისტურ მებრძოლთა ოჯახებს. ჩვენ ვლაპარაკობთ ალბერტ კაიზერზე, რეიხსტაგის კომფრაქციის ყოფილ წევრზე, ბერლინის ტრანსპორტელთა საფაბრიკო კომიტეტის ყოფილ თავმჯდომარეზე, იმ ამხანაგზე, რომელიც ხელმძღვანელობდა ბერლინის ტრანსპორტელთა დიდ გაფიცვას 1932 წლის ოქტომბერში, როდესაც ფონ-პაპენი ცდილობდა სამუშაო ხელფასის შემცირებას.

ორივე ამხანაგი ხანგრძლივი დროის განმავლობაში დამწყვდეული იყო საკონცენტრაციო ბანაკებში, ორივეს ულმობელად სცემდნენ და აწამებდნენ, ორივეს სხეული დასერილია ფაშისტური ციხეების მსახურთა მათრახებისგან მიყენებული ჭრილობებით. როდესაც ციხის მსახურთ მოეჩვენათ, რომ ჩვენი ამხანაგების ნებისყოფა მოტეხილია და შეუძლებელია ისინი ანტიფაშისტურ საქმიანობას დაუბრუნდნენ, — ფაშისტებმა ისინი გაანთავისუფლეს საკონცენტრაციო ბანაკებიდან. მაგრამ ჩვენმა ამხანაგებმა, რომლებიც ჭეშმარიტ რევოლუციონერთა უძლეველი ძლიერი სულით იყვნენ აღფრთოვანებულნი, განთავისუფლების პირველ დღიდანვე დაიჭირეს თავისი ადგილები ანტიფაშისტური ფრონტის პირველ რიგებში (ტაში).

ეს სასიკვდილო განაჩენები წარმოადგენს მხოლოდამხოლოდ ბრმა შურისძიებას, რაც იმით არის გამოწვეული, რომ ვერავითარმა ჯალათმა ვერ შეანელა ჩვენი ამხანაგების სიძულვილი ფაშიზმისადმი. ეს განაჩენები ახალი მაჩვენებელია იმისა, თუ რას უმზადებენ ჩვენს ტელმანს, რომელიც უკვე თითქმის 3 წელია ციხეში იტანჯება მხოლოდ იმისათვის, რომ ის იყო გერმანიის კომუნისტური პარტიის ლიდერი და მთელი თავისი სიცოცხლე შესწირა მუშათა კლასს, იმისათვის, რომ იგი იბრძოდა მუშათა კლასის მდგომარეობის უშუალო გაუმჯობესებისათვის და მისი განთავისუფლებისათვის კაპიტალის უღლისაგან.

მშრომელი მასების წარმომადგენელთა სახელით, რომელნიც იმყოფებიან აქ, კომუნისტური ინტერნაციონალის VII მსოფლიო კონგრესზე, ყველა იმათი სახელით, ვინც ემხრობა დემოკრატიას და მშვიდობიანობას, იმ მოწინავე ადამიანთა მილიონების სახელით, რომლების გრძნობა აღშფოთებულია გერმანიის ფაშიზმის სიმხეცით და სისასტიკით, ჩვენ კატეგორიულ პროტესტს ვაცხადებთ იმ სასიკვდილო განაჩენთა წინააღმდეგ, რომლებიც გამოუტანეს ამხ. კლაუსსა და კაიზერს. ჩვენ პროტესტს ვაცხადებთ ფაშისტური ჯალათების სისხლიან დანაშაულობათა წინააღმდეგ და მოვითხოვთ:

პირველი, ამ სასიკვდილო განაჩენთა გაუქმებას, მეორე, ამხ. კლაუსისა და კაიზერის დაუყოვნებლივ განთავისუფლებას, მესამე, ყველა დაპატიმრებული ანტიფაშისტური მებრძოლის დაუყოვნებლივ განთავისუფლებას, მეოთხე, ამხანაგ ერნსტ ტელმანის დაუყოვნებლივ განთავისუფლებას.

ამხანაგებო! ბრძოლა მუშათა კლასის ამ მებრძოლთა სიცოცხლის გადარჩენისათვის — ჩვენი რევოლუციური ღირსების საკითხია. სიკვდილი უძრწის გერმანიის ფაშიზმის ციხეების დერეფნებსა და საკონცენტრაციო ბანაკებში. ჩვენ ახლა უნდა ვიმუშაოთ ისე, როგორც არასოდეს არ გვიმუშავნია, რათა ამ სამართლიან მოთხოვნებს მხარი დაუჭირონ ყველა საუკეთესო ადამიანებმა მთელ მსოფლიოში.

ამხანაგებო! დაუსრულებელი სისხლიანი დანაშაულობანი გერმანიის ფაშიზმისა, რომელიც სასტიკად აწამებს ანტიფაშისტურ მებრძოლთ, სჩადის აურაცხელ მკვლელობას, იწყებს ებრაელთა დარბევას, — ყოველივე ეს ხმამაღლა მოგვიწოდებს შურისძიებისაკენ. ადამიანის ყველა თავისუფლებათა მოსპობა, მეცნიერების, ლიტერატურისა და ხელოვნების დეგრადაცია მოითხოვს, რათა ჩვენ მთელი მსოფლიოს ხალხთა გულში გავაღვივოთ მგზნებარე სიძულვილი და აღშფოთება გერმანიის ფაშიზმის წინააღმდეგ, იმ ფაშიზმის წინააღმდეგ, რომელმაც შეარცხვინა დიადი გერმანიის ხალხი; იმ ფაშიზმის წინააღმდეგ, რომელმაც გამორიცხა გერმანია ცივილიზებულ ერთა რიგებიდან, გერმანია მეცნიერთა, მოაზროვნეთა, მებრძოლთა, პოეტებისა, გერმანია, რომელიც წარმოადგენს საერთაშორისო მუშათა მოძრაობის მშვენებას.

კომუნისტური ინტერნაციონალის მსოფლიო ტრიბუნიდან საქვეყნოდ ვაფრთხილებთ ჰიტლერის მთავრობას: ჩვენ მოვუწოდებთ მსოფლიოს ყველა ადამიანს, ვისაც კი თავისუფლება უყვარს, და კერძოდ საფრანგეთის, ინგლისისა და ამერიკის ხალხებს, ფოლადისებური რკალი შემოარტყან ახლა ამ ფაშისტურ ჯოჯოხეთს, დაეხმარონ გერმანიის ხალხს განთავისუფლდეს სამარცხვინო ფაშისტური რეჟიმისაგან.

დეე ფაშისტურმა ჯალათებმა იცოდნენ, რომ ინგლისის, საფრანგეთისა და ამერიკის ხალხები ნებას არ მისცემენ მათ შეასრულონ ამხ. კლაუსისა და კაიზერის მოკვლის გეგმა (ტაში). დეე მათ იცოდნენ, რომ ჩვენ შურს ვიძიებთ ჩვენი ნაწამები ამხანაგებისათვის. კომუნისტური ინტერნაციონალი მოაწყობს ძლიერ მოძრაობას, რომელიც გამოჰგლეჯს ფაშისტურ ჩამომხრჩობთა კლანჭებიდან ამხ. კლაუსს, კაიზერს, ტელმანს და ყველა ანტიფაშისტურ მებრძოლთ. ჩვენ ეს მოვიმოქმედეთ როდესაც ვიბრძოდით ამხანაგ დიმიტროვის სიცოცხლისათვის. ჩვენ შეგვიძლია და კვლავ უნდა მოვიმოქმედოთ ეს ყველა იმ ანტიფაშისტურ მებრძოლთა სიცოცხლის გადასარჩენად, რომლებიც ფაშისტურ ციხეებში იტანჯებიან. (ტაში).

ჩვენ დარწმუნებული ვართ, რომ კომუნისტური ინტერნაციონალი ახალ გამარჯვებას მოიპოვებს ფაშიზმზე და ჩვენ ამ ტრიბუნიდან მოვუწოდებთ: ძირს გერმანიის ფაშიზმის სისხლიანი რეჟიმი!

გაუმარჯოს ამხანაგ კლაუსს!

გაუმარჯოს ამხანაგ კაიზერს!

გაუმარჯოს ამხანაგ ტელმანს და ყველა სახელოვან რევოლუციურ მებრძოლთ ფაშიზმის წინააღმდეგ!

ამხ. გარი პოლიტის სიტყვა

(ინგლისის კომპარტია)

ინგლისის კომუნისტურმა პარტიამ უკვე დააგროვა საკმაოდ მდიდარი გამოცდილება ერთიანი ფრონტის შექმნისათვის ბრძოლაში. ამ გამოცდილების გულმოდგინედ შესწავლით ჩვენ შეგვიძლია ავიცდინოთ მრავალი შეცდომა, რომლებიც წარსულში დავუშვით, და გამოვასწოროთ ნაკლოვანებანი, რომლებიც ახლა ჩვენს მუშაობაში გვაქვს.

ჩვენ უნდა ვისწავლოთ თვითეული შესაძლებლობის გამოყენება იმისათვის, რათა მოვაწყოთ მუშების შეთანხმებული გამოსვლა ყველა საკითხზე.

ერთიანი ფრონტისათვის ბრძოლაში მოკავშირეებად მომხრობა ფერმერებისა, მოჯამაგირეებისა, აგრეთვე მოსახლეობის ყველა იმ წრისა, ვინც წინააღმდეგია ეგრეთწოდებულ „დემოკრატიულ თავისუფლებათა" შეზღუდვისა, ვისაც სძულს ომი და მისი ეშინია, კომპარტიის ერთერთ ყველაზე უფრო მნიშვნელოვან პოლიტიკურ ამოცანას შეადგენს.

საჭიროა აგრეთვე უფრო მეტი ყურადღება მიექცეს დიფერენციაციის პროცესს, რომელიც სწარმოებს ლეიბორისტულ პარტიაში, პროფკავშირებსა და კოოპერატივებში. ლეიბორისტული ორგანიზაციების შიგნით, უეჭველია, სწარმოებს ღრმა პროცესი იმედგაცრუებისა კლასობრივი თანამშრომლობის მთელი იმ პოლიტიკით, რომელსაც ლეიბორისტთა ლიდერები ახორციელებენ.

კომპარტიისათვის ასეთსავე მნიშვნელოვან ამოცანას შეადგენს ახალგაზრდობის ჩაბმა ერთიანი ფრონტისათვის უაღრესად აქტიური მხარდაჭერის საქმეში. ბურჟუაზიას ამდენი ძალღონე არასოდეს არ მოუნდომებია იმისთვის, რომ ხელთ ეგდო იდეოლოგიური გავლენა მუშათა ახალგაზრდობაში.

დიდი ბრიტანეთის კომუნისტურ პარტიას ახლა დიდი პასუხისმგებლობა ეკისრება. ამას ავალებს მას ბრიტანეთის იმპერიალიზმის ხელმძღვანელი როლი მსოფლიო პოლიტიკაში, აგრეთვე ის გარემოება, რომ ბრიტანეთის ლეიბორისტული ბელადები წარმოადგენენ ერთიანი ფრონტის წინააღმდეგ ოპოზიციების ავანგარდს ინგლისში და საზოგადოდ მეორე ინტერნაციონალში.

ინგლისში ერთიანი ფრონტის შექმნისათვის ბრძოლაში კომპარტიამ დიდი და მრავალფეროვანი გამოცდილება მოიპოვა. ერთიანი ფრონტის მოძრაობამ საბრძოლო მასობრივ საფუძველზე უმაღლეს წერტილს მიაღწია ამ წლის დამდეგს ეროვნული მთავრობის მიერ უმუშევრობის შესახებ გამოცემულ კანონის წინააღმდეგ ბრძოლაში.

კომუნისტები ხელმძღვანელ როლს თამაშობდნენ ამ ბრძოლაში რამაც თავის გამოხატულება ჰპოვა პარტიის წევრთა რაოდენობის ერთისამად ზრდაში და იმ ხმების რაოდენობის თითქმის ერთიორად გადიდებაში, რომლებიც კომუნისტებმა მუნიციპალური არჩევნების დროს მიიღეს. რონდაში, სამხრეთ უელსის სამთამადნო რაიონის შუაგულში, პარტიის წევრთა რაოდენობა თითქმის ერთიოთხად გაიზარდა და მუნიციპალური არჩევნების დროს კომუნისტებისათვის მიცემული ხმების რაოდენობამ შეადგინა ლეიბორისტებისათვის მიცემული ხმების 80 პროცენტი.

ნოემბრის მუნიციპალური არჩევნების დროს ჩვენმა პარტიამ მნიშვნელოვანი ნაბიჯი გადადგა ერთიანი ფრონტის პოლიტიკის გაფართოვების გზაზე. პარტია ასახელებდა თავის საკუთარ კანდიდატებს იმ ადგილებში, სადაც ჩვენ მასობრივი ბაზა გვაქვს, ამასთან ერთად პარტიამ წინადადება მისცა ამომრჩევლებს მხარი დაეჭირათ იმ ლეიბორისტული კანდიდატებისათვის რომლებიც მზად არიან იბრძოლონ ერთიანი ფრონტის პროგრამისათვის. ამ პოლიტიკის შედეგად ჩვენ უფრო მჭიდრო კავშირი დავამყარეთ ლეიბორისტ მუშებთან და მრავალი წლის განმავლობაში პირველად შევუდექით მოლაპარაკებას ლეიბორისტულ ორგანიზაციებთან ადგილობრივ.

კომუნისტურ პარტიას არა სწამს ის, რომ სოციალიზმის დამყარება პარლამენტის საშუალებით შეიძლება. ფაშიზმის დამყარება გერმანიაში და სხვა ქვეყნებში და სოციალიზმის გამარჯვება საბჭოთა კავშირში ინგლისის მუშებს უფრო და უფრო არწმუნებს, რომ რევოლუციური თვალსაზრისი ერთადერთი სწორი თვალსაზრისია. არც ერთ პარტიას ან ორგანიზაციას, რომელიც თავის რიგებიდან რიცხავს მუშათა კლასის იმ ნაწილებს, რომელიც თავის რიგებიდან რიცრებენ, არ შეუძლია ატაროს სახელი ერთიანი ფრონტის ორგანიზაციისა, რომელიც მთელ მუშათა კლასს მოიცავს.

თუ ლეიბორისტული პარტია თანახმაა თავის შემადგენლობაში მიიღოს რევოლუციური ორგანიზაციები, — ჩვენ კი დარწმუნებული ვართ, რომ ასეთ ნაბიჯს მთელი მუშათა კლასი მოიწონებს, — მაშინ კომუნისტური პარტია მზად არის მიემხროს ლეიბორისტულ პარტიას.

ამ საერთო ფრონტის შიგნით და ამ საფუძველზე კომუნისტური პარტია მართებულად განახორციელებს ყველა გადაწყვეტილებას, რომელიც მუშათა კლასის ინტერესებს შეესაბამება და რომლის დამუშავებაშიც ჩვენ სრულ მონაწილეობას მივიღებთ. (ხანგრძლივი ტაში).

ამხ. ლენსკის სიტყვა

(პოლონეთის კომპარტია)

ამხანაგ დიმიტროვის ფრიად შინაარსიან მოხსენებაში ერთერთი საკვანძო საკითხი იყო ანტიფაშისტური სახალხო ფრონტი. ეს საკითხი ყველაზე უფრო მწვავედ დგას იმ ქვეყნებში, სადაც გლეხური და ნაციონალურ-განმანთავისუფლებელი მოძრაობაა.

პირობების უდიდესი განსხვავების მიუხედავად, პოლონეთში, ისე როგორც საფრანგეთში, სახალხო ფრონტი იქმნება დემოკრატიულ უფლებების დაცვის ნიშნით.

ჩვენში, ისე როგორც საფრანგეთში, შექმნილი სახალხო ფრონტის ზურგად და ღერძად გადაიქცა მუშათა ერთიანი ფრონტი. ერთიანი ფრონტის ტაქტიკამ, რომელიც ახლებურად ტარდება, საშუალება მისცა ჩვენს პარტიას უფრო ფართოდ გამოსულიყო პოლიტიკური ცხოვრების ზედაპირზე. ორგანიზაციული ფორმების მოქნილობის მეოხებით კომუნისტებმა მიაღწიეს სოციალ-დემოკრატიულ ორგანიზაციებთან მთელ რიგ საერთო გამოსვლებს 1 მაისს, მიუხედავად იმისა, რომ ს.-დ. ბელადებმა აკრძალეს ეს გამოსვლები. ერთიანი ფრონტის დიდმა დემონსტრაციებმა ვარშავაში, დომბროვოში, პეტრაკოვში, ბელოსტოკში, ვილნოში, ლვოვში, სტრიეში გამოხატეს სოციალისტ მუშათა განწყობილებებში მომხდარი გარდატეხა.

ჰიტლერის გადატრიალების გავლენა ერთიანობისაკენ მუშათა კლასის მისწრაფებათა ზრდაზე, პოლონეთის ფაშიზმის გაფითრებული შემოტევა სწრაფი რადიკალიზაცია სოციალ-დემოკრატიის შიგნით. ყოველივე ეს დაჟინებით მოითხოვდა ერთიანი ფრონტის ახალ მეთოდებზე გადასვლას.

ახალი ერთიანი ფრონტის ტაქტიკა და მასთან ერთად ჩვენი იდეოლოგიური და პოლიტიკური ზეგავლენა აღრმავებენ დიფერენციაციას სოციალისტურ პარტიებში. სოციალ-დემოკრატიის შიგნით წარმოიშობიან გულწრფელ მემარცხენე აქტივისტთა მთელი ჯგუფები, რომლებიც ადგებიან სოციალ-დემოკრატიის მთელი წარსულის იდეოლოგიურ და პოლიტიკურ ღირებულებათა გადაფასების გზას.

კომპარტია გულისხმიერად ადევნებს თვალს სოციალისტ მუშათა და მემარცხენე აქტივისტთა ერთიანობის განწყობილებებს. პროლეტარიატის ერთიანი რევოლუციური პარტიის იდეას კომუნისტები აკავშირებენ ყოველდღიურ მოქმედებათა ერთიანობასთან, ამასთან ყოველ ნაბიჯზე აღნიშნავენ, რომ ერთიანი ფრონტი ჰკაფავს გზას ორგანიზაციული გაერთიანებისაკენ.

1935 წელმა მოგვიტანა პოლიტიკური ბრძოლის სიჭარბე მუშათა მოძრაობაში. ჩვენმა პარტიამ დროზე გაშალა ერთიანი ფრონტი ფაშისტური კონსტიტუციის და სეიმის არჩევნების ახალი კანონის წინააღმდეგ, ამასთან აღნიშნა, რომ საჭიროა ხალხთა მთელი ძალების გაერთიანება საბრძოლველად შიმშილის, ტერორისა და ომის მთავრობის წინააღმდეგ პურისა, შრომისა და თავისუფლებისათვის. სოციალ-დემოკრატიული ორგანიზაციების და პროფკავშირების უმრავლესობამ მხარი დაუჭირა კომუნისტთა წინადადებებს.

მთელ სახელმწიფოს მოედვა პოლიტიკური გაფიცვების ტალღა. პროლეტარიატის ზეგავლენით, გაღატაკებული სოფელი შედის ახალი მასობრივი ბრძოლების პერიოდში (ვოლინი, ვილენშჩინა, სუვალკი).

კომპარტია ჰქმნის სახალხო ფრონტს დემოკრატიულ და სოციალურ მოთხოვნათა ფართო პლატფორმაზე. ამ პლატფორმაში მან შეიტანა დამფუძნებელი კრების ლოზუნგი, რომელიც შეიძლება პოპულარული გახდეს იმ მასებს შორის რომლებსაც ჯერ კიდევ ვერ შეუთვისებიათ საბჭოთა ხელისუფლების ლოზუნგი.

იბრძვიან რა მუშურ-გლეხური მთავრობისათვის, საბჭოთა ხელისუფლებისათვის, მშრომელთა ნამდვილი დემოკრატიისათვის, კომუნისტები მზად არიან მხარი დაუჭირონ თვითეული იმ ანტიფაშისტური მთავრობის დემოკრატიულ ღონისძიებებს, რომელიც კი განახორციელებდა სახალხო ფრონტის პლატფორმას.

შესაძლებელია თუ არა ასეთი მთავრობა? დიახ, სავსებით შესაძლებელია.

პოლონეთში შესაძლებელია გარდამავალი ანტიფაშისტური მთავრობის სხვადასხვა ვარიანტი, დაწყებული ბურჟუაზიული და წვრილბურჟუაზიული პარტიების კოალიციით და გათავებული სახალხო ფრონტის მთავრობით, რომელშიც გლეხური პარტიები მიიღებენ მონაწილეობას.

შეუძლიათ თუ არა კომუნისტებს მონაწილეობა მიიღონ სახალხო ფრონტის მთავრობაში იმ პირობებით, რომლებზედაც აქ ამხ. დიმიტროვი ლაპარაკობდა? დიახ, შეუძლიათ, თუ გავიხსენებთ ლენინის სიტყვებს, რომ „დროებითი კავშირების შიში თუნდაც არასაიმედო ადამიანებთან შეუძლია მხოლოდ იმას, ვისაც არა აქვს თავისთავის იმედი, და გარეშე ასეთი კავშირებისა ვერც ერთი პარტია ვერ იარსებებდა". (ლენინი. თხზულებანი. ტომი 4 გვ. 574).

ანტიფაშისტური სახალხო ფრონტი მიმართული უნდა იყოს პოლონეთის ფაშიზმის სამხედრო პოლიტიკის წინააღმდეგ, კერძოდ ფაშისტურ გერმანიასთან სამხედრო კავშირის წინააღმდეგ.

პოლონეთის ხალხთა მასები, რომლებმაც განიცადეს გერმანიის ოკუპაციის უღელი, იწყებენ იმის შეგნებას, რომ აღმოსავლეთში გერმანიის იმპერიალიზმის ექსპანსიის პოლიტიკა, რომელსაც მხარს უჭერენ პილსუდსკელები, გატარდება პოლონელ მშრომელთა სისხლის ხარჯზე, თუ პოლონეთი ჰიტლერის გერმანიის ვასალი შეიქნა. ამ სიმართლეს მასებს ვერ დაუმალავენ ბატონი რაძივილები, თავადი საპეგები და გერმანიის იმპერიალიზმის სხვა ლაქიები, რომლებსაც, როგორც თვითონ ამბობენ, სურთ ჰიტლერის ექსპანსიის ღარი საბჭოთა კავშირისაკენ წარმართონ.

მასებში უფრო და უფრო პოპულარული ხდება კომუნისტების მიერ წამოყენებული მოთხოვნა — გერმანიის ფაშიზმთან დადებული სამხედრო ხელშეკრულების დარღვევა და აღმოსავლეთის პაქტის დადება, ვინაიდან აღმოსავლეთის პაქტი, რომელიც პოლონეთს უშიშროების რეალურ გარანტიას აძლევს, მთლიანად შეეფერება მშრომელთა ინტერესებს.

პოლონეთის ხალხთა მასები იწყებენ იმის შეგნებას, რომ პოლონეთის დამოუკიდებლობის ერთადერთი თანმიმდევარი მომხრე საბჭოთა კავშირია.

კომპარტიის მთავარი ამოცანა იმაში მდგომარეობს, რომ დააჩქაროს გლეხთა მასების ფართო ფრონტით გადასვლა ახალი ბრძოლებისაკენ.

ახლა ყველაზე მნიშვნელოვანი და გადამწყვეტია გლეხთა მოძრაობის აყვანა პროლეტარული მოძრაობის შედარებით მაღალ დონეზე.

სახალხო ფრონტის კამპანიის ყველაზე ვიწრო ადგილს ქალაქის წვრილი ბურჟუაზია წარმოადგენს.

პოლონეთის უახლოესი პერსპექტივა — ეს არის მშრომელთა ფართო ანტიფაშისტური მოძრაობა, რომელიც განვითარდება არა მარტო ეკონომიური, არამედ პოლიტიკური აღმავლობის საფუძველზე როგორც ქალაქად ისე სოფლად; და გახდება რევოლუციური კრიზისის მოახლოვების გადამწყვეტი ფაქტორი, რამდენადაც კომპარტია შესძლებს ერთ კვანძად შეჰკრას მასობრივი პროლეტარული გლეხური და ნაციონალურ-განმათავისუფლებელი ბრძოლები.

მოცემულ ისტორიულ პერიოდში მთელი საქმე დამოკიდებულია იმაზე, თუ რა შეუპოვრობით და რა გაქანებით განახორციელებს ჩვენი პარტია პროლეტარიატის და მშრომელი გლეხობის საბრძოლო კავშირს (ხანგრძლივი ტაში).

ეროვნული ბიბლიოთეკა

კომინტერნის VII მსოფლიო კონგრესი

ენგელსი რევოლუციური მარქსიზმისათვის ბრძოლაში

ამხ. დ. ზ. მანუილსკის სიტყვა

(შემოკლებული სტენოგრამა)

I

ენგელსი და მისი როლი მეცნიერული სოციალიზმის შექმნაში

40 წლის წინათ გარდაიცვალა ფრიდრიხ ენგელსი, კარლ მარქსის უახლოესი თანამებრძოლი, კაცობრიობის უდიდესი რევოლუციური მოაზროვნე, საერთაშორისო პროლეტარული პარტიის ორგანიზატორი და ბელადი. მარქსისა და ენგელსის სახელები სამუდამოდ დარჩება ხალხთა მეხსიერებაში, როგორც მეცნიერული სოციალიზმის ორი უდიდეს გენიოს-შემოქმედთა, მსოფლიო კომუნისტური მოძრაობის ფუძემდებელთა სახელები.

ენგელსის რევოლუციური მოღვაწეობა განუყრელად დაკავშირებულია მარქსის ცხოვრებასთან და მოღვაწეობასთან.

„ძველებურ გადმოცემებში, — სწერდა 40 წლის წინათ ლენინი, — მოთხრობილია თავდადებული მეგობრობის სხვადასხვა ამბავი. ევროპის პროლეტარიატს შეუძლია სთქვას, რომ მისი მეცნიერება შექმნეს ორმა სწავლულმა და მებრძოლმა, რომელთა ერთმანეთთან დამოკიდებულება აღემატება ყოველივე იმას, რაც კი ძველად ყოფილა ნათქვამი ადამიანთა თავდადებულ მეგობრობაზე". (ლენინი, თხზ. კრებული, გამოცემა პ. გ. I, გვ. 414).

ენგელსის გარდაცვალების წლისთავს, რომელსაც ჩვენ დღეს აღვნიშნავთ, ემთხვევა გარდატეხა საერთაშორისო მუშათა მოძრაობაში, საბჭოთა კავშირში სოციალიზმის გამარჯვებისა და კაპიტალიზმის ულრმესი კრიზისის ზეგავლენით სოციალ-დემოკრატიული და უპარტიო მუშების მობრუნება კომუნიზმისაკენ, მეორე ინტერნაციონალის სწრაფი რღვევა.

პროლეტარიატის გამარჯვება საბჭოთა კავშირში, კომუნისტური მოძრაობის ზრდა მთელს მსოფლიოში — ეს პირდაპირი შედეგია იმისა, რომ ბოლშევიკების პარტია, ლენინისა და სტალინის საერთაშორისო პარტია ბოლომდე ერთგული დარჩა მარქსისა და ენგელსის მოძღვრებისა. მეორე ინტერნაციონალის დაშლა, მისი პარტიების დამარცხება და გაკოტრება—ეს მარქსისა და ენგელსისაგან მათი განდგომის ისტორიულად გარდუვალი შედეგია, მარქსიზმის შერყვნისა და დამახინჯების შედეგია. ამ განდგომისთვის ახლა იძულებული არიან პასუხი აგონ მშრომელთა მილიონებმა—გაჭირვებისა, შიმშილისა და უმუშევრობის კლანჭებში, ფაშიზმის საჩრჩობელებსა და კატორღაში, გაჩაღებული იმპერიალისტური ომების თხრილებში.

თავისი რევოლუციური მოღვაწეობის დასაწყისიდანვე ენგელსი მარქსთან ერთად იბრძვის მეცნიერული სოციალიზმის დასასაბუთებლად და განსავითარებლად ეკონომიკისა და საზოგადოებრივ მეცნიერებათა დარგში, ფილოსოფიისა და ბუნებისმეტყველების დარგში, იბრძვის იმისათვის, რომ რაც შეიძლება ფართოდ ჩაუნერგოს რევოლუციური მარქსიზმი პროლეტარულ მასებს შეგნებაში.

შემდეგ ორატორი დაწვრილებით ლაპარაკობს ენგელსის ბრძოლაზე გერმანული „ჭეშმარიტი" სოციალიზმის წინააღმდეგ, ლასალიანობის, ბაკუნიზმის, პრუდონიზმის და სხვა ცრუ-სოციალისტური და ცრუ-რევოლუციური თეორიების წინააღმდეგ (გამოტოვებულია); ენგელსი გამოდიოდა ბურჟუაზიული საზოგადოების ეკონომიურ ურთიერთობათა მარქსის ანალიზიდან და ასაბუთებდა ბურჟუაზიის ძალდატანებითი დამხობის აუცილებლობას, პროლეტარიატის, როგორც კაპიტალიზმის მესაფლავისა და ახალი სოციალისტური წყობილების შემქმნელის მსოფლიო-ისტორიულ როლს. მარქსთან ერთად ენგელსმა დაამტკიცა, რომ კლასობრივ ბრძოლას მივყევართ პროლეტარიატის დიქტატურისკენ, რომელიც არის კაპიტალიზმიდან კომუნიზმისაკენ გარდამავალი პერიოდის სახელმწიფო, რომ პროლეტარიატი ვერ გაიმარჯვებს ამ ბრძოლაში, თუ მას ხელმძღვანელობას არ გაუწევს საკუთარი დამოუკიდებელი პოლიტიკური პარტია.

ამიტომ ენგელსი მოუწოდებს მუშებს იმოქმედონ ამ რევოლუციური თეორიის თანახმად, იბრძოლონ პროლეტარიატის დიქტატურისათვის. ეს რევოლუციური თეორიისა და რევოლუციური მოქმედების მთლიანობის აზრი წითელი ზოლივით არის გატარებული ენგელსის ყველა მეცნიერულ ნაშრომში, ყველა პოლემიკურ სტატიაში და პარტიულ დირექტივებში.

ენგელსი თავის ბრძოლაში სოციალ-დემოკრატიული ოპორტუნისტების წინააღმდეგაც და ანარქისტების წინააღმდეგაც **პირველ ადგილზე აყენებდა პროლეტარიატის დიქტატურის საკითხს**, და კერძოდ, ექსპლოატატორთა სახელმწიფოსა და პროლეტარულ სახელმწიფოს შორის რადიკალური განსხვავების საკითხს.

რევოლუციური მარქსიზმის მოძღვრებამ სახელმწიფოსა და რევოლუციის შესახებ, და, კერძოდ, ენგელსის შესანიშნავმა მონაცემებმა პროლეტარული დემოკრატიის საკითხზე, წინააღმდეგ ბურჟუაზიული დემოკრატიისა, გენიალური განვითარება ჰპოვა ლენინისა და სტალინის შრომებში.

რა ფრიად დადასტურებას ჰპოვებს სწორედ ახლა, კაპიტალისტურ ქვეყნებში რეაქციისა და ფაშიზმის შემოტევის პირობებში, მარქსიზმ-ლენინიზმის მოძღვრება სახელმწიფოს, როგორც ექსპლოატატორთა კლასის ორგანოს შესახებ, რომლის დანიშნულებაა ექსპლოატირებულთა კლასების მორჩილებაში ყოლა! რა სამარცხვინოდ განიავმტვერდა სოციალ-დემოკრატიული ფილისტერების ყალბი, თინბაზური თეორიები სახელმწიფოს, როგორც „ხალხის საერთო ინტერესების გამომხატველის" შესახებ, რომელიც ვითომდა არიგებს ანტაგონისტური კლასების ინტერესებს და რომელიც ამ კლასებზე მაღლა სდგას! რა შემოწმება ხდება დღეს, განსაკუთრებით ფაშისტურ ქვეყნებში ენგელსის სიტყვებისა იმის შესახებ, რომ „სახელმწიფო ეს არის შეიარაღებული რაზმები, პოლიცია, არმია, საპყრობილეები და სასამართლოები". ფინანსიური კაპიტალის ფაშისტური ლანდსკნეხტები, გესტაპო, ჰიტლერის და გერინგის დამცველი რაზმები, ფაშისტური საპყრობილეები, საკონცენტრაციო ბანაკები და ეშაფოტები — ყველაფერი ეს აშკარავებს ექსპლოატატორთა სახელმწიფოს დედაარსს,—სახელმწიფოს, რომელიც იშორებს ბურჟუაზიული დემოკრატიის ზიზილ-პიპილებს და ფეხქვეშ სთელავს იმ დემოკრატიულ უფლებათა და თავისუფლებათა ნატამალს, რომლებიც მშრომელებმა ხანგრძლივი სისხლიანი ბრძოლით მოიპოვეს. რას იტყვიან ამ ულმობელი ფაქტების წინაშე ისინი, ვინც ავულგარებდნენ და ამახინჯებდნენ მარქსიზმს, უარჰყოფდნენ პროლეტარული რევოლუციის გზას და ნოსკესთან და ზევერინგთან ერთად იცავდნენ ბურჟუაზიულ სახელმწიფოს რევოლუციური მასების შეტევისაგან?

მარქსი და ენგელსი ერთმანეთს უპირისპირებდნენ ბურჟუაზიის დიქტატურას და პროლეტარიატის დიქტატურას და მთელი თავისი სიცოცხლის განმავლობაში იბრძოდნენ ისეთი პარტიის შესაქმნელად, რომელიც შესძლებდა მასების წაყვანას ძალაუფლების დასაპყრობად, პროლეტარიატის დიქტატურის დასამყარებლად.

მხოლოდ ბოლშევიკების პარტიამ შეიტანა ჯერ კიდევ 1903 წელს პროლეტარიატის დიქტატურის მოთხოვნა თავის პროგრამაში.

მხოლოდ ბოლშევიკებმა, ლენინისა და სტალინის ხელმძღვანელობით, პროლეტარული რევოლუციის უახლოეს მიზნად დასახეს „კომუნის ტიპის" სახელმწიფოს შექმნა და კომუნის გამოცდილება შეავსეს რუსეთის ორი რევოლუციის უმდიდრესი გამოცდილებით, მათ შესძლეს პროლეტარიატისა და უღარიბესი გლეხობის მილიონიანი მასების წაყვანა ბურჟუაზიული სახელმწიფოს დასამხობად და პროლეტარიატის დიქტატურის დასამყარებლად **საბჭოების ფორმით**.

ორატორი გვიჩვენებს, თუ როგორ ახორციელებდნენ და ახორციელებენ ბოლშევიკები ლენინისა და სტალინის ხელმძღვანელობით ენგელსის გენიალურ მითითებებს პროლეტარიატის მიერ ძალაუფლების დაპყრობის, შემდეგ ყველა საწარმოო ურთიერთობის გარდაქმნის შესახებ, მოფიქრებული გეგმით წარმოების მოწყობის შესახებ, ნაყოფიერი შრომის შესახებ, რომელიც დამმონავებელი საშუალებებიდან გადაიქცევა განთავისუფლების საშუალებად, ქალაქისა და სოფლის წინააღმდეგობათა გადალახვის შესახებ, სოციალიზმის დროს ადამიანთა ყოველმხრივი განვითარების შესახებ.

ენგელსი ლაპარაკობდა, — განაგრძობს ორატორი, — რომ ადამიანებს, რომელთაც წილად ერგებათ ექსპლოატატორული საზოგადოების საფუძვლების ძირიანად დანგრევა და უკლასო სოციალისტური საზოგადოების აშენება, ექნებათ განსაკუთრებული ძალის თეორიული წინასწარხედვა და რკინის ნებისყოფა. ეს—ჩვენს პარტიას, ბოლშევიკების პარტიას ლენინისა და სტალინის მეთაურობით ხედავდა ენგელსის გენიალური თვალი, რომელიც მომავალი ათეული წლების ფარდის იქით იხედებოდა (მქუხარე ტაში).

ეს—იმ მილიონების შესახებ ლაპარაკობდა ენგელსი, რომლებმაც ააშენეს სოციალიზმი პროლეტარიატის დიქტატურის ქვეყანაში.

II

პროლეტარიატის ბელადი და პროლეტარული ტაქტიკის ოსტატი

ენგელსი პროლეტარიატის მარტო უდიდესი თეორეტიკოსი როდი იყო. მარქსისათვის, ის უწინარეს ყოვლისა **რევოლუციონერი** იყო. როგორც მარქსის, ისევე ენგელსის ნამდვილი სტიქია, უწინარეს ყოვლისა, ბრძოლა იყო,—შეუპოვარი, თანმიმდევრობითი, მგზნებარე ბრძოლა კომუნიზმისათვის.

ორატორმა დაახასიათა ენგელსის რევოლუციური მოღვაწეობის ძირითადი ეტაპები—40-ანი წლები, 1848 წლის რევოლუცია, 60-იანი წლები და I ინტერნაციონალი, 1871 წლის პარიზის კომუნის მომდევნო პერიოდი,—და აღნიშნა:

— ის, რაც ახასიათებს, ენგელსს, როგორც მუშათა კლასის პოლიტიკოსს, ზედმიწევნით გამოხატა ლენინმა. ეს არის— „პროლეტარიატის **ძირითადი გარდაქმნითი მიზნების** ულრმესი გაგება და ტაქტიკის **მონაცემ ამოცანათა** არაჩვეულებრივ მოქნილი განსაზღვრა რევოლუციური მიზნების თვალსაზრისით, ოპორტუნიზმისა და რევოლუციური ფრაზისათვის არავითარი დათმობით".

ენგელსის ეპოქაში ცოტანი არ იყვნენ და ამჟამადაც ცოტანი არ არიან ისეთი ადამიანები, რომლებსაც პროლეტარული რევოლუცია ესმით არა **დიალექტიკურად**, არამედ **მექანიკურად**: ერთ ბანაკში არიან შეგნებული, თანამიმდევარი, „წმინდა" რევოლუციონერები, მეორეში—მთლიანი რეაქციული მასა; არავითარი ცვლილება არ უნდა მოხდეს კლასობრივ ძალთა თანაშეფარდებაში, ვინაიდან ყველა კლასმა ერთხელ და სამუდამოდ დაიჭირა რევოლუციურ სქემაში მათთვის განკუთვნილი პოზიციები; არავითარი მერყევი შუალედი წრეები, ვინაიდან ისინი წინასწარ შეტანილი არიან რეაქციის კატალოგში. არავითარი ავანგარდი და რეზერვი, ვინაიდან ყველა ისინი მთლიან რევოლუციურ მასას წარმოადგენენ; არავითარი მასები, რომლებიც მხოლოდ უახლოვდებიან რევოლუციას, ვინაიდან ისინი წინასწარ ჩარიცხული არიან რევოლუციური ავანგარდის ბანაკში; არავითარი ეტაპები რევოლუციური ბრძოლის განვითარებაში, ვინაიდან ერთი ხელის დაკვრით მასები გადაყვანილი არიან „უკანასკნელი გადამწყვეტი ბრძოლის" მაღალ კლასში; არავითარი ყოველდღიური მუშაობა რევოლუციური პარტიისა მასების განათლებლად და ბრძოლისათვის მოსამზადებლად, ვინაიდან მასები მხოლოდ საბაბს ელოდებიან, რათა გადაეშვენ ბრძოლაში არქირევოლუციონერ ბელადთა ხელმძღვანელობით; არავითარი ორგანიზაციული მომზადება, რომელიც აჩქარებს მოძრაობის ზრდას, ვინაიდან ჩვენს მაგიერ ამ მოძრაობის სტიქია მუშაობს.

შემცდარია იმის ფიქრი, რომ რევოლუცია განვითარდება პირდაპირი ხაზით, როგორც მშვილდიდან გატყორცნილი ისარი, რომ რევოლუციის მომწიფების პროცესში არ იქნება დაბრკოლებანი, შეფერხება, უკანდახევა, რათა შესაძლებელი იყოს მით უფრო ძლიერი გადახტომა წინ. შემცდარია იმის ფიქრი, რომ რევოლუციური პარტიის ტაქტიკა უნდა აიგოს კლასობრივ ძალთა არა იმ თანაშეფარდებაზე, რომელიც არსებობს, არამედ იმაზე, რომელიც ჩვენ გვინდა რომ არსებობდეს. შემცდარია იმის ფიქრი, რომ პროლეტარული პარტია, როგორც რევოლუციის მომზადების პროცესში, ისე თვით მის განვითარებაში, საკმარისია დაეყრდნოს მხოლოდ ავანგარდის ძალებს, და არა მუშათა კლასის უმრავლესობას. შემცდარია იმის ფიქრი, რომ, სხვა კლასობრივი ძალების უგულებელყოფით მერყევი კლასების თუგინდ დროებით მაინც რევოლუციის მხარეზე გადმოყვანის უცდელად, პროლეტარული პარტია შქმნიდეს ნათელ სიტუაციას „კლასი კლასის წინააღმდეგ", შემცდარია იმის ფიქრი, რომ რევოლუციის მომზადება და მისი განხორციელება შესაძლებელია მტრის ბანაკში არსებულ წინააღმდეგობათა გამოუყენებლად, გარევოლუციონერების გზაზე შემდგარ სხვა კლასებთან თუ ჯგუფებთან და მათ პოლიტიკურ ორგანიზაციებთან დროებითი, ნაწილობრივი კომპრომისების მიუღებლად. 1889 წ. დანიის სოციალისტ ტრირისთან გაგზავნილ წერილში ენგელსი ურჩევს ვისაც ჯერ არის სხვა პარტიების გამოყენებას მუშათა კლასის ინტერესებისათვის.

„დროებით მხარი უნდა დავუჭიროთ სხვა პარტიებსა და იმ ღონისძიებებს, რომლებიც ან უშუალოდ ხელსაყრელია პროლეტარიატისათვის, ან წარმოადგენენ წინ გადადგმულ ნაბიჯს ეკონომიური განვითარებისა და პოლიტიკური თავისუფლების მიმართულებით".

„მაგრამ მე ამას მივემხრობი,—დასძენს ენგელსი,—მხოლოდ იმ შემთხვევაში, **თუ ის სარგებლობა, რომელიც გვენიჭება უშუალოდ ჩვენ ან ქვეყნის ისტორიულ განვითარებას ეკონომიური და პოლიტიკური რევოლუციის გზაზე, უდავო არის და ღირს იმად, რომ იგი მოვიპოვოთ.** და ყოველივე ეს უნდა იყოს იმ პირობით, რომ პარტიის პროლეტარული კლასობრივი ხასიათი ამით საეჭვო არ გახდეს. ეს—ჩემთვის აბსოლუტური ზღვარია".

(„ბოლშევიკი", № 21, 1932 წ., გვ. 84).

პარტიის კლასობრივი ხასიათის განმტკიცება, პროლეტარიატის შეგნების, მისი ბრძოლის უნარიანობის გაძლიერება, მისი პოზიციების გამაგრება, კლასობრივი მტრის პოზიციების შესუსტება — აი ის კრიტერიუმი, რომელსაც ენგელსი **სავალდებულოდ** სთვლის ამათუიმ კომპრომისის შესაძლებლობის საკითხის გადაჭრის დროს.

მაგრამ ეს ტაქტიკა მეტისმეტად მტრულად ეკიდება ბურჟუაზიასთან პროლეტარიატის კლასობრივი თანამშრომლობის იდეას, რომელსაც საერთაშორისო სოციალ-დემოკრატია ახორციელებდა, ვინაიდან სოციალ-დემოკრატიულმა პოლიტიკამ წაართვა პარტიას მისი კლასობრივი ხასიათი; ეს პოლიტიკა ამაგრებდა ბურჟუაზიის პოზიციას, ასუსტებდა პროლეტარიატს და ახდენდა მის დემორალიზაციას. რევოლუციურ ტაქტიკას არაფერი აქვს საერთო „ნაკლები ბოროტების" პოლიტიკასთან, ჰინდენბურგისათვის ხმის მიცემასთან, ბრიუნინგთან ბლოკის შეკვრასთან, ვინაიდან „ნაკლები ბოროტების" პოლიტიკის გზით სოციალ - დემოკრატია ერთიმეორეზე უთმობდა ბურჟუაზიას პროლეტარიატის პოზიციებს, გზას უკაფავდა ფაშიზმს და ამზადებდა პროლეტარიატის დამარცხებას.

ენგელსის ეს აზრები ოცდაათი წლის შემდეგ განავითარა ლენინმა რუსეთის სამი რევოლუციის გამოცდილების საფუძველზე. ახალგაზრდა კომპარტიებს იგი ასწავლიდა ისეთ მოქნილ და სამანევრო ტაქტიკას, რომელიც დაეხმარებოდა მათ დაეძლიათ მემარცხენეობის საყმაწვილო სენი და ნამდვილად ბოლშევიკურად დაეყენებინათ ბრძოლა ბურჟუაზიის დამხობისათვის.

„...უფრო მძლავრი მოწინააღმდეგის დამარცხება შეიძლება მხოლოდ ძალღონის უდიდესი დაძაბვით და იმით, თუ **აუცილებლად**, უაღრესად გულდასმით, მზრუნველობით, ფრთხილად, მოხერხებულად გამოვიყენებთ როგორც ყოველგვარ, თუნდაც უმცირეს, „ბზარს" მტრებს შორის. ინტერესთა ყოველგვარ წინააღმდეგობას სხვადასხვა ქვეყნის ბურჟუაზიას შორის, ბურჟუაზიის სხვადასხვა ჯგუფებსა ან სახეებს შორის ცალკეული ქვეყნების შიგნით,—ისე ყოველგვარ, თუნდაც უმცირეს, შესაძლებლობას მოვიპოვოთ მასობრივი მოკავშირე, თუნდაც დროებითი, მერყევი, არამტკიცე, არასაიმედო, პირობითი. ვისაც ეს არ ესმის," მას ოდნავადაც არ ესმის მარქსიზმი და **საერთოდ** მეცნიერული, თანამედროვე სოციალიზმი" (ლენინი, „მემარცხენეობის" საყმაწვილო სენი კომუნიზმში, პარტგამომცემლობა, 1932 წ., გვ. 46. ლენინის თხზ. კრ მე-3 გამოცემა, გვ. 209) (ტაში).

თუ თქვენ, ამხანაგებო, ენგელსისა და ლენინის ამ სიტყვებს ჩაუფიქრდებით, მიხვდებით, რომ ეს ტაქტიკა, რომელიც შემოწმებულია მთელი მსოფლიო მუშათა მოძრაობის გამოცდილებით მრავალი ათეული წლების განმავლობაში, ამჟამად კომუნისტური ინტერნაციონალის წინაშე, ყველა მისი სექციის წინაშე შლის უდიდეს შესაძლებლობას, რომ ისინი გამოვიდნენ ჩვენი განვითარების საგიტაციო-პროპაგანდისტული პერიოდიდან და გახდნენ მთელი თანამედროვე პოლიტიკური ცხოვრების უძლიერეს ფაქტორად ცალკეულ ქვეყნებსა და მთელს მსოფლიოში (ტაში).

მაგრამ სწორედ იმიტომ, რომ ჩვენ ახლა გამოვდივართ დიდი **მასობრივი პოლიტიკის** ფართო გზაზე, რომ ჩვენ ვემზადებით ვთვალოთ არა ასი ათასობით, არამედ მილიონობით, რომ ჩვენ ვიწყებთ იმ ფენების მოქცევას ჩვენი გავლენის ქვეშ, რომლებიც ჯერ კიდევ გუშინ ან სოციალ-დემოკრატიის რიგებში, ან ყოველგვარი პოლიტიკის გარეშე იდგნენ,— კომინტერნის სექციებმა უნდა გამოიჩინონ განსაკუთრებული სიფრთხილე ჩვენი **მასობრივი პოლიტიკის** შესაძლო **მემარჯვენე და ოპორტუნისტული დამახინჯებების მიმართ**. იმ დამახინჯებებისა, რომლებიც შეაჩერებენ ჩვენი გავლენის ზრდას მასებში, პროლეტარიატის ბრძოლისუნარიანობის ზრდას. და ამით შეაფერხებენ პროლეტარული რევოლუციის მომწიფების პირობებს. და აქ ჩვენ ერთხელ კიდევ უნდა მივმართოთ ჩვენს მასწავლებელს ენგელსს და გავიხსენოთ მისი ბრძოლა ოპორტუნიზმის წინააღმდეგ, ბრძოლა დაუნდობელი, განუწყვეტელი, რომელსაც მან, როგორც პოლიტიკურმა მებრძოლმა, მთელი ნახევარი საუკუნე მოანდომა.

ისე არავის უნდოდა პროლეტარული ავანგარდის შემჭიდროება ერთიანი მუშათა პარტიის რიგებში, როგორც ენგელსს. მაგრამ მან იცოდა და ხედავდა, რომ უპრინციპო საფუძველზე გაერთიანება შეასუსტებს მუშათა კლასს. 1882 წელს საფრანგეთში ენგელსი მიესალმა მუშათა პარტიაში მომხდარ გათიშვას მალონთან და ბრუსთან, რომლებმაც ხელი აიღეს კლასობრივ ბრძოლაზე, დასთმეს მოძრაობის პროლეტარული კლასობრივი ხასიათი და აუცილებელი გახადეს გათიშვა. „მით უკეთესი,—ამბობს იგი,—ერთიანობა საუცხოო რამ არის, **ვიდრე იგი შესაძლებელია, მაგრამ, ზოგი რამ ერთიანობაზე უფრო მნიშვნელოვანია**".

ჩვენ საჭიროდ მივვაჩნია გავიხსენოთ ენგელსის ეს სიტყვები სწორედ ახლა, როცა აქ, ამ კონგრესზე, ჩვენ მაღლა ვსწევთ **საერთაშორისო მუშათა კლასის** პოლიტიკური ერთიანობის დროშას.

ამხ. **დიმიტროვის** მოხსენებით კონგრესმა განსაკუთრებით მკვეთრად აღნიშნა თავისი მისწრაფება ბრძოლისაკენ, რომლის მიზანია, რომ ყოველ ქვეყანაში ერთიანი მუშათა პარტია იყოს, რომ მთელს მსოფლიოში ერთიანი მუშათა პარტია იყოს, მაგრამ ეს პარტია შესაძლებელია მხოლოდ **პრინციპული ერთიანობის** საფუძველზე და არა მეორე ინტერნაციონალის მსგავსად. **წვრილბურჟუაზიული** და პროლეტარული ელემენტების დამპალი ბლოკის საფუძველზე. ჩვენ მოვაგონებთ სოციალ-დემოკრატ მუშათა ათასებს, ათეულ და ასეულ ათასებს, რომლებიც თავის თავს მარქსისა და ენგელსის მიმდევრებად და მოწაფეებად სთვლიან, რომ ჩვენ მათთან ერთად დანაშაულს ჩავიდენდით ჩვენი კლასის მიმართ, თუ აღვადგენდით იმ მოჩვენებითს „ერთიანობას", რომელმაც გამოიწვია 4 აგვისტოს კატასტროფა, მუშათა კლასის ნაწილის ბლოკი ბურჟუაზიასთან და საბოლოო ანგარიშში გაადვილა ფაშიზმის გამარჯვება. **მუშათა კლასს არ ესაჭიროება ასეთი ერთიანობა!** ჩვენ გვინდა **ის** ერთიანობა, რომლისთვისაც მთელი თავის სიცოცხლე იბრძოდა ჩვენი მასწავლებელი—ფრიდრიხ ენგელსი. ამ ერთიანობის მოსაპოვებლად ჩვენ დავძაბავთ ჩვენს ძალებს და მივაღწევთ მას (ტაში).

მაგრამ ამის მიღწევას შესძლებს მხოლოდ ის პარტია, რომელიც თავისი მზარდი აქტიურობით მოიპოვებს მასების ნდობას, პარტია, რომელიც გადალახავს სქემატიზმსა და გამარტივებას მასობრივი მოძრაობისადმი მიდგომაში. **ასეთი** პარტიისათვის იბრძოდა ენგელსი. იგი ულმობლად ამათრახებდა **პასიურობას** და **უმოქმედობას**, როგორც ოპორტუნიზმის ერთერთ უაღრესად მავნე ფორმას. მუშათა ბელადებთან მიწერ-მოწერაში ის განუწყვეტლივ იმეორებს: პარტია უნდა **მოქმედებდეს** ყოველგვარ პირობებში; მონაწილეობას უნდა ღებულობდეს ქვეყნის **მთელ პოლიტიკურ ცხოვრებაში**; იყენებდეს საშინაო და საგარეო პოლიტიკის თვითეულ ფაქტს აქტიური გამოსვლების საბაბად; მასებთან უნდა იყოს ყველგან და ყოველთვის, ყოველ მომენტში; დროზე უნდა აყენებდეს **ბრძოლის ნამდვილ**, თვით მასებისაგან გამომდინარე **ლოზუნგს**, მოძრაობის ზრდის მიხედვით სცვლიდეს მას ახალი ლოზუნგით — აი როგორ ძირითად ტაქტიკურ წესს მითითებს ენგელსი პროლეტარული პარტიისათვის.

თუ პარტია თავის თანამოაზრეთა ვიწრო, კარჩაკეტილ წრეში ცხოვრობს, თუ **იმის** გარეშე დგას, რითაც ხალხი ცხოვრობს, თუ არ შესწევს უნარი, რომ ხელი ჩასჭიდოს იმას, რაც მოცემულ მომენტში მასებს აღელვებს და, თუ არ შეუძლია გარკვეული, გასაგები ლოზუნგით განაზოგადოს ხალხის სატკივარი და იმედები— ასეთი პარტია ვერ შესძლებს მასობრივ მოძრაობათა სათავეში ჩადგომას. ენგელსი განსაკუთრებით მკაცრად ესხმის თავს იმათ, ვინც მასების ბრძოლის გადამწყვეტ მომენტში მათთან არ აღმოჩნდება.

პასიურობა და უმოქმედობა, რომელიც „მემარცხენე" ფრაზის ნიღაბს იკეთებს, პრაქტიკაში ხშირად საფარად ხმარობს **კონსპირაციის თამაშს**, ფარული ორგანიზაციის თვითშემოფარგვლის თამაშს, გადაგვარდება კარბონარიზმში, რაც უცხოა მუშათა პარტიის ბუნებისათვის. მეორე მხრივ, პარლამენტარული კრეტინიზმი, ბურჟუაზიულ **ლეგალობასთან** შეგუება, რადაც უნდა დაჯდეს, ორგანიზაციის არალეგალური ფორმების მნიშვნელობის უარყოფა, ძალადობის შიში—თავის მხრივ დამბლას სცემენ მუშათა კლასის ბრძოლის უნარიანობას.

ენგელსი დაჟინებით მოითხოვს, რომ პროლეტარულ რევოლუციონერებს უნარი ჰქონდეთ ისარგებლონ კლასობრივ მტრებთან ბრძოლის ყველა ფორმით; ენგელსის ამ მითითებებს ბოლშევიკების პარტია ლენინისა და სტალინის ხელმძღვანელობით ასახიერებს მუშაობის ლეგალური და არალეგალური ფორმების შეთავსების ოცდახუთი წლის უდიდესი გამოცდილებით, რომელიც, როგორც ცნობილია, საფუძვლად დაედო კომინტერნის მეორე კონგრესის ორგანიზაციულ გადაწყვეტილებებს.

ბოლომდე გამოიყენეს თუ არა ეს მითითებანი და გამოცდილება ჩვენმა სექციებმა? **არა, არ გამოუყენებიათ.** ბევრი ამხანაგი დარწმუნებულია, რომ ფაშისტური ტერორის პირობებში შეუძლებელია „ლეგალური" მუშაობა, მუშათა მოძრაობის აშკარად გამოხატვა, ფართო მასობრივი მუშაობის გაშლა. მაგრამ, ფაშიზმი ხომ იძულებულია შექმნას მასობრივი ბაზა, ააშენოს თავისი მასობრივი ორგანიზაციები, მიმართოს სოციალურ დემაგოგიას. აქედან გამომდინარეობს კომუნისტების ამოცანა—შეიჭრან ფაშისტურ მასობრივ ორგანიზაციებში, ფაშისტური სოციალური დემაგოგია წარმართონ ფაშისტური დიქტატურის წინააღმდეგ და ამ გზით შეარყიონ ფაშიზმის მასობრივი ბაზა. შეუძლებელია მასებთან მისვლა ისე, თუ წარმოებული არ იქნება ყოველდღიური სისტემატური მუშაობა ფაშისტურ მასობრივ ორგანიზაციებში, თუ შეთავსებული არ იქნება ლეგალური და არალეგალური მუშაობის მეთოდები.

ამავე დროს სწორი არ არის ფიქრი, თითქოს ლეგალური მუშათა მოძრაობის ქვეყნებში ჩვენ არ გვესაჭიროება არალეგალური ორგანიზაციები. მეწარმეთა ტერორი ყველა ქვეყანაში გვაიძულებს არალეგალურად შევქმნათ უჯრედები საწარმოებში. ფაშისტური საფრთხის გაძლიერება ავალებს „ლეგალურ" კომპარტიებს ყოველგვარი ზომები მიიღონ არალეგალურ მდგომარეობაზე გადასვლის შემთხვევისათვის, რათა არ გაიმეორონ იტალიისა და გერმანიის პარტიების შეცდომები. უნდა გვახსოვდეს, რომ ერთიანი ფრონტის მოძრაობა აშკარა წესით ახდენს ყველაზე დევნილი კომპარტიების „ლეგალიზაციას", რომ მასობრივ ბრძოლას ზედაპირზე ამოჰყავს ულრმეს კონსპირაციაში მყოფი ორგანიზაციები.

იმ სქემატიზმისა და გამარტივების ერთერთ ნაირსახეობას, რომელთა წინააღმდეგ ენგელსი იბრძოდა, წარმოადგენს **ძირითად ტაქტიკურ დებულებათა მექანიკურად გამოყენება ყოველი ცალკეული ქვეყნის პირობათა თავისებურების გაუთვალისწინებლად.**

ის, ვინც ფიქრობს, რომ საკმარისია ჯიბეში ჰქონდეს რამდენიმე მზა ფორმულა, რათა ერთი ხაზით მიუდგე მთელ მსოფლიო მუშათა მოძრაობას, იგი მუშათა მოძრაობის ინტერნაციონალიზაციას კი არ ახდენს, არამედ ერთ წერტილზე აჩერებს მას და ხელს უშლის მის განვითარებას.

ენგელსი იყო ნამდვილი ინტერნაციონალური ბელადის კლასიკური ფიგურა, რომელიც ზედმიწევნით ჰფლობდა იმ ხელოვნებას, თუ სწორად როგორ უნდა შეთავსებულიყო ჩვენი კომუნისტური მოძრაობის ინტერნაციონალური ხასიათი მის ნაციონალურ თავისებურებასთან. იგი მჭიდროდ იყო დაკავშირებული **გერმანიის** მუშათა კლასთან, საუცხოვოდ და დაწვრილებით იცნობდა **საფრანგეთის** მუშათა მოძრაობას; 1844 წლიდან იგი იყო **ინგლისის** პროლეტარიატის ბრძოლის უაქტიურესი მონაწილე; იგი ღრმად სწავლობდა **ამერიკის** მუშათა მოძრაობას (თვითონაც ყოფილა ოკეანეს გადაღმა); იგი განსაკუთრებით იცნობდა პროლეტარული ბრძოლის პირობებს და მიმდინარეობას იტალიასა და პირინეის ქვეყნებში; იგი საუცხოოდ ერკვეოდა **დასავლეთ-სლავური და სამხრეთ-სლავური ქვეყნების სოციალისტური მოძრაობის მიზნებში.**

სწორედ ცალკეული ქვეყნების მდგომარეობის ამ ღრმა ცოდნამ საშუალება მისცა ენგელსს სწორი ხელმძღვანელობა გაეწია ამ ქვეყნების მუშათა პარტიებისათვის, ყოფილიყო პროლეტარული ინტერნაციონალიზმის ნამდვილი ბელადი და ორგანიზატორი.

ასეთია ენგელსის უმნიშვნელოვანესი ტაქტიკური მითითებანი ჩვენი დიადი ეპოქის თვალსაზრისით, იმ ამოცანების თვალსაზრისით, რომლებიც დასახულია ჩვენი კონგრესის წინაშე.

ენგელსი გვასწავლიდა ჩვენ ვიყოთ მებრძოლი, მომქმედი პარტია და მოძრაობის ტალღის აზვირთების მომენტშიაც და მისი დროებითი დაცემის მომენტშიაც შეგვეძლოს ვიპოვოთ ის განსაკუთრებული, რამ, რაც აღელვებს მასებს, ეხმარება პარტიას გააფართოოს და განამტკიცოს თავისი კავშირი მუშათა კლასთან და მშრომელებთან

ენგელსი გვასწავლიდა არ გავდიდგულებულიყავით გამარჯვებათა მომენტებში, თავი არ ჩაგვექინდრა დროებით დამარცხებათა მომენტებში, დამარცხების შემთხვევაში არ შეგვშინებოდა, რომ საქმე ხელახლა დაგვეწყო, მაგრამ დაგვეწყო მტკიცე რწმენით, რომ მეორედ გამარჯვებას უნდა მივაღწიოთ.

ენგელსი გვასწავლიდა გაგვეტარებინა ისეთი **მასობრივი პოლიტიკა**, რომელიც მშრომელთა უფართოესი მასების სასიცოცხლო ინტერესებს შეეფერება და ხელს უწყობს პროლეტარიატის გარშემო გლეხთა მასებისა და ქალაქის მშრომელთა შემჭიდროებას. ახლანდელ ვითარებაში ეს უწინარეს ყოვლისა ნიშნავს იმას, რომ შევქმნათ სახალხო ფრონტი ფაშიზმის წინააღმდეგ კაპიტალისტური ქვეყნების შიგნით და ხალხთა ფრონტი ომის წინააღმდეგ საერთაშორისო ასპარეზზე (ტაში).

ჩვენ ვცხოვრობთ და ვიბრძვით გაცილებით უფრო რთულ ვითარებაში, ვიდრე ენგელსის ხანა იყო. მაგრამ ენგელსის უმდიდრესი ტაქტიკური მემკვიდრეობა ჩვენთვის ამ ახალ ვითარებაშიც ინარჩუნებს თავის მნიშვნელობას. კომუნისტები კიდევ დიდხანს ისარგებლებენ ამ მემკვიდრეობით და **ბოლშევიკურად** განახორციელებენ ენგელსის მითითებებს.

მაგრამ [illegible] ნიშნავს თუ არა იმას, რომ ეს მითითებანი **საკმარისია** ჩვენი ტაქტიკის განსახაზღვრავად? რა თქმა უნდა, არა. ისე როგორც მარქსს, ენგელსსაც ისტორიულ პირობათა გამო **ჯერ კიდევ არ შეეძლო** შეექმნა და მან **ვერც შექმნა** დასრულებული მეცნიერება რევოლუციური პროლეტარიატის სტრატეგიასა და ტაქტიკაზე. მაგრამ ამ მეცნიერებას რომელიც ლენინისა და სტალინის გენიამ შექმნა, საფუძვლად უდევს შესანიშნავი აზრები სტრატეგიასა და ტაქტიკაზე, რომლებსაც ავითარებდნენ და შეძლებისდაგვარად ახორციელებდნენ კომუნიზმის დიდი ფუძემდებელნი.

III

ჩვენ ენგელსის საქმეს განვაგრძობთ

ჩვენ, კომუნისტები, ენგელსის საქმის განმგრძობნი ვართ.

მისი და მარქსის შექმნილი რევოლუციური მოძღვრების დიადი დაუძლეველი ძალა იმაში მდგომარეობს, რომ იგი **ცოცხლობს** და **ვითარდება** მებრძოლ პროლეტარიატთან ერთად, **მდიდრდება** მისი ახალი გამოცდილებით, **ილესება** მის მტრებთან ბრძოლაში.

ენგელსი გარდაიცვალა ოთხმოცდაათიანი წლების შუა ხანებში. მაგრამ სწორედ ამ წლებში დაიწყო თავისი რევოლუციური მუშაობა ლენინმა, რომლის სახელი შუქურ ვარსკვლავად გახდა მთელი საერთაშორისო პროლეტარიატისათვის.

ლენინისათვის მარქსიზმი იყო არა დოგმა, არამედ რევოლუციური მოქმედების სახელმძღვანელო. ჯერ კიდევ გასული საუკუნის დამლევს, პარტიული პროგრამის გარშემო გაჩაღებულ ბრძოლებთან დაკავშირებით, ლენინი სწერდა: „ჩვენ სრულიადაც არ ვუყურებთ მარქსის თეორიას, როგორც რაღაც დამთავრებულს და ხელშეუხებელს; ჩვენ, პირიქით, დარწმუნებული ვართ რომ ამ თეორიამ მხოლოდ ქვაკუთხედი დაუდო იმ მეცნიერებას, რომელიც სოციალისტებმა წინ უნდა წასწიონ ყველა მიმართულებით, თუ მათ არ სურთ ცხოვრებას ჩამორჩნენ".

ამერიკელ მუშებთან საუბარში სტალინმა რამდენიმე გვერდზე მოგვცა იმ განძის სხარტი დახასიათება, რომელიც ლენინმა მარქსიზმის საგანძურში შეიტანა. ეს რამდენიმე მცირე გვერდი უნდა ვიკითხოთ და გადავიკითხოთ, ისინი მრავალ ტომს შეედრებიან. აქ სტალინი აჯამებს **მარქსიზმის განვითარების ლენინური ეტაპის შინაარსს**: იმპერიალიზმის, როგორც კაპიტალიზმის უკანასკნელი ფაზის, ანალიზი; მარქსიზმის მთავარი ელემენტის —პროლეტარული დიქტატურის მოძღვრების დამუშავება, პროლეტარული დიქტატურის პერიოდში სოციალისტური მშენებლობის ფორმათა და საშუალებათა საკითხის დამუშავება; პროლეტარიატის ჰეგემონიის მწყობრი სისტემის შექმნა, ნაციონალურ-კოლონიალური საკითხის, როგორც პროლეტარული რევოლუციის რეზერვთა საკითხის დამუშავება; პარტიის შესახებ მოძღვრების შექმნა.

ლენინს ეკუთვნის ის დამსახურება, რომ მან განსაზღვრა კომუნისტების პოზიცია იმპერიალისტურ ომებში, პოზიცია, რომელიც მან ჩამოაყალიბა ლოზუნგად — **გადააქციეთ იმპერიალისტური ომი სამოქალაქო ომად.** ამას მით უფრო უნდა გაესვას ხაზი, რომ იყო ცდები საქმე ისე დაეხატათ, თითქოს ამ ლოზუნგის მამამთავარი იყო ენგელსი. ეს მართალი არ არის, ამხანაგებო, ენგელსს ფრიად ბევრი დამსახურება მიუძღვის მსოფლიო მუშათა კლასის წინაშე და ამიტომ საჭირო არ არის მას მივაწეროთ ის, რაც არ უთქვამს. ენგელსი იმპერიალიზმის ეპოქაში არ ცხოვრობდა, მას უხდებოდა საერთაშორისო სოციალიზმის პოზიციების დაცვა, უმთავრესად, ნაციონალური ომების მიმართ. ბოლშევიკები რომ ენგელსის ოთხმოცდაათიანი წლების ნაშრომებს დოგმატურად მისდგომოდნენ, ისინი ვერ შესძლებდნენ იმპერიალისტური ომების საკითხში ისე განევითარებინათ მარქსისტული პოზიცია, როგორც ეს ლენინმა მოიმოქმედა. ლენინმა, და მხოლოდ ლენინმა მოგვცა პრინციპულად ახალი და ერთადერთი სწორი დებულება, როგორც იმპერიალისტური ომის ხასიათის საკითხში, ისე ამ ომის მიმართ პროლეტარული პარტიის პოზიციის საკითხში. და სწორედ იმიტომ, რომ ჩვენ პატივს ვცემთ ჩვენი დიდი მასწავლებლის ენგელსის ხსოვნას, ჩვენ წინააღმდეგი ვართ, რომ იგი ხატად გადააქციონ, რომ მიჩქმალონ ან შეაფერადონ ისტორიული სინამდვილე.

საქმე ლენინისა, რომელმაც მარქსიზმი ახალ საფეხურზე აიყვანა, ყველა მიმართულებით განაგრძო **სტალინმა**. სტალინის შრომებში, სიტყვებში, მთელს მოღვაწეობაში და ბოლშევიზმის საერთაშორისო პარტიის მოღვაწეობაში, რომელსაც იგი ხელმძღვანელობს, **ცოცხლობს, იზრდება და მდიდრდება მარქსისტულ-ლენინური თეორია**, რომლის ერთ-ერთი ფუძემდებელი ენგელსი იყო.

სტალინმა განავითარა მარქსიზმი ჩვენი ეპოქის ერთერთ ძირითად საკითხში — **ერთს ქვეყანაში სოციალიზმის აშენების** საკითხში. ბოლშევიკები არ ებღაუჭებოდნენ ენგელსის ძველ ფორმულებს, რომლებიც გამოსადეგი იყო სხვა, დიდი ხნის წინათ განვლილ საფეხურზე. სტალინის ხელმძღვანელობით მათ გაანადგურეს ტროცკისტები და ზინოვიეველები, რომლებიც ცდილობდნენ გამოეყენებინათ ეს ფორმულები, პროლეტარული რევოლუციის წინააღმდეგ.

ლენინმა დაამტკიცა, რომ იმპერიალიზმის პირობებში უთანაბრო, ნახტომისებური კაპიტალისტური განვითარების დროს შესაძლებელია სოციალიზმის გამარჯვება ერთს ქვეყანაში.

სტალინმა **განავითარა, დაიცვა და ცხოვრებაში განახორციელა** ეს თეორია. „ის, რაც ენგელსს გასული საუკუნის ორმოციან წლებში, წინამონოპოლისტური კაპიტალიზმის პირობებში, ერთი ქვეყნისათვის განუხორციელებლად და შეუძლებლად მიაჩნდა, განსახორციელებელი და შესაძლებელი შეიქნა ჩვენს ქვეყანაში, იმპერიალიზმის პირობებში. რა თქმა უნდა, ენგელსი რომ ცოცხალი ყოფილიყო,—სთქვა სტალინმა საკ. კ.პ. (ბ) XV კონფერენციაზე,—იგი არ ჩაეჭიდებოდა ძველ ფორმულას, არამედ, პირიქით, ყოველნაირად მიესალმებოდა ჩვენს რევოლუციას და იტყოდა: „ჯანდაბას ყველა ძველი ფორმულა, გაუმარჯოს ძლევამოსილ რევოლუციას საბჭოთა კავშირში!".

არც „გოთას პროგრამის კრიტიკაში", არც ენგელსის ნაშრომებში, არც ლენინის „სახელმწიფოსა და რევოლუციაში" არ ყოფილა დასმული **კომუნიზმის პირველი ფაზის ის კონკრეტული საკითხები**, რომლებიც სტალინმა დასვა და რომლებიც მან უდიდესი გაბედულობით და სიღრმით გადასჭრა.

სტალინმა, რომელმაც შემდგომ განავითარა მარქსის, ენგელსის და ლენინის მოძღვრება, რომელმაც შემოქმედებითი ძალით განახორციელა იგი ცოცხალ სინამდვილეში, **პირველმა** დაამუშავა კონკრეტულად ჩვენს ქვეყანაში სოციალისტური შეტევის ერთიანი და ღრმად მოფიქრებული გეგმა, დაამუშავა საკითხი სოციალისტური ინდუსტრიალიზაციისა, როგორც საბჭოთა კავშირში სოციალიზმის გამარჯვების პირობისა; საკოლმეურნეო წყობილებისა, როგორც პროლეტარული ხელმძღვანელობით გლეხობის სოციალისტური გარდაქმნის გზისა, კაპიტალისტურ ელემენტთა მოსპობის ეტაპებისა და ხერხებისა (ამ ელემენტების შეზღუდვის პოლიტიკიდან კულაკობის, როგორც კლასის, ლიკვიდაციის პოლიტიკამდე); შრომის ორგანიზაციისა სოციალისტური მშენებლობის პირობებში და ბრძოლისა წვრილ-ბურჟუაზიული გათანაბრების წინააღმდეგ; ადამიანთა შეგნებაში კაპიტალისტურ ნაშთთა მოსპობის პირობებისა და გზებისა; ახალი, სოციალისტური კულტურის მშენებლობისა. სტალინმა გვიჩვენა, რომ სოციალიზმის შენება უწინარეს ყოვლისა ნიშნავს პროლეტარული დიქტატურის განმტკიცებას, ხოლო პროლეტარული დიქტატურის განმტკიცებას და სოციალისტური მშენებლობის წარმატებებს შედეგად მოსდევს პროლეტარული დემოკრატიის გაფურჩქვნა. და სტალინის ყველა ამ თეორიულ დებულებას ბოლშევიკებმა მისი ხელმძღვანელობით ხორცი შეასხეს.

სტალინის ისეთი შრომები და გამოსვლები, როგორიცაა მისი მოხსენებანი პარტყრილობებზე, მისი სიტყვა აგრარიკოს—მარქსისტთა კონფერენციაზე, მისი შესანიშნავი ექვსი პირობა, სტალინური საკოლმეურნეო წესდება, მის მიერ დასახული ცვლილებანი საბჭოთა კონსტიტუციაში, მისი გამოსვლა ახალ ადამიანთა შესახებ, რომელნიც ტექნიკას დაეუფლნენ, —მოკლედ რომ ვსთქვათ—სტალინის ყოველი გამოსვლა არის არა მარტო სამიჯნე სვეტები საბჭოთა კავშირში სოციალისტური მშენებლობის გზაზე,—ეს ამავე დროს არის მარქსისტულ-ლენინური თეორიის გამდიდრებისა და გაღრმავების სამიჯნე სვეტებიც. ამ შრომებით სწავლობენ და შემდეგშიც ისწავლიან ყველა ქვეყნის მოწინავე მუშები.

სტალინი იძლევა პოლიტიკის ნიმუშებს პროლეტარული სახელმწიფოსი, რომელიც კაპიტალისტური გარემოცვის პირობებში უკლასო სოციალისტურ საზოგადოებას აშენებს. სტალინი ამუშავებს მსოფლიო პროლეტარული პარტიის—კომუნისტური ინტერნაციონალის — პოლიტიკის საფუძვლებს კაპიტალიზმის საერთო კრიზისისა და ორი სისტემის—კაპიტალიზმისა და სოციალიზმის ბრძოლის პირობებში. ჩინეთის რევოლუციის გამოცდილების მიხედვით სტალინმა დაამუშავა ნაციონალურ-რევოლუციური მოძრაობის საბჭოთა რევოლუციაში გადაზრდის კონკრეტულ გზათა საკითხი. **სტალინმა ახალ საფეხურზე აიყვანა მარქს-ენგელს-ლენინის მოძღვრება კაპიტალიზმიდან სოციალიზმზე გარდამავალი პერიოდის შესახებ** (ტაში).

ლენინი და სტალინი არ დაკმაყოფილდნენ მარქსისა და ენგელსის ცალკეულ მონახაზებს **სტრატეგიისა და ტაქტიკის** საკითხებში. თავის წიგნში „ლენინიზმის საფუძვლების შესახებ", რომელიც მთელი მსოფლიოს პროლეტარული რევოლუციონერებისათვის მიუცილებელ წიგნს წარმოადგენს, სტალინი სწერდა, რომ მხოლოდ „პროლეტარიატის აშკარა გამოსვლათა პერიოდში, პროლეტარული რევოლუციის პერიოდში, როცა ბურჟუაზიის დამხობის საკითხი პირდაპირი პრაქტიკის საკითხი გახდა, როცა პროლეტარიატის რეზერვთა საკითხი (სტრატეგია) ერთერთ ყველაზე საჭირბოროტო საკითხად იქცა, როცა ბრძოლისა და ორგანიზაციის ყველა ფორმა-პარლამენტარულიც და პარლამენტგარეშეც (ტაქტიკა) სრული სიცხადით გამოაშკარავდა,—მხოლოდ ამ პერიოდში შეიძლება შემუშავებულიყო პროლეტარიატის ბრძოლის მთლიანი სტრატეგია და დამუშავებული ტაქტიკა".

ლენინს და სტალინს ის დამსახურება მიუძღვით, რომ ისინი არ დაკმაყოფილდნენ მარქსისა და ენგელსის ცალკეულ ტაქტიკურ დებულებათა აღდგენას და მათ შემდგომ განავითარეს და შექმნეს ლენინიზმის სტრატეგია და ტაქტიკა— მთლიანი მეცნიერება პროლეტარიატის რევოლუციური ბრძოლის ხელმძღვანელობაზე.

⁂

ორმოცი წელი გავიდა ფრიდრიხ ენგელსის გარდაცვალებიდან, რა უზარმაზარი გზა გაიარა მსოფლიო მუშათა მოძრაობამ, მთელმა კაცობრიობამ ამ წლების განმავლობაში! მეფის ძველი დესპოტიის ადგილზე გაჩნდა სოციალიზმის მშენებელი დიდი ქვეყანა. ინგრევა საუკუნებრივი ჩინური კედელი, ჩინეთის ოთხას-მილიონიანი ხალხი ამოძრავებულია. საბჭოთა რევოლუციის დროშა დაფრიალებს ჩინეთის ექვს პროვინციაში, სადაც ას მილიონამდე კაცი ცხოვრობს. მთელს კაპიტალისტურ მსოფლიოში, საბჭოთა კავშირის სოციალიზმის წარმატებათა გავლენით მშრომელთა შორის იზრდება და ფართოვდება მძლავრი მოძრაობა სოციალიზმისაკენ. კაპიტალისტური ქვეყნების ბურჟუაზია აჩანაგებს ქვეყნებსა და ქალაქებს, აღადგენს საშუალო საუკუნეთა ჯურღმულებს, დამონებული ხალხებისათვის, სთესავს სიძულვილისა და აღშფოთების ქარიშხალს ჩაგრულთა შორის, აღარ არის მარქსისა და ენგელსის პირველი ინტერნაციონალი, ხოლო მეორე ინტერნაციონალი ირღვევა, როგორც დამპალი ქსოვილი. მაგრამ მშრომელები უფროდაუფრო მჭიდროდ ირაზმებიან მესამე, კომუნისტური ინტერნაციონალის, მარქსისა და ენგელსის, ლენინისა და სტალინის ინტერნაციონალის, საბჭოთა კავშირში ძლევამოსილი სოციალიზმის ინტერნაციონალის, მთელი მსოფლიოს პროლეტარული რევოლუციის ინტერნაციონალის გარშემო (ტაში).

„მე ვფიქრობ,—სწერდა ენგელსი 1874 წელს, —რომ შემდეგი ინტერნაციონალი, მას მერე, როცა მარქსის ნაწარმოებნი მთელი რიგი წლების განმავლობაში თავის გავლენას მოახდენენ, წმინდა **კომუნისტური იქნება და უთუმანოდ წამოაყენებს ჩვენს პრინციპებს**" (თხზ. კრებ., ტ. 26, გვ. 374, კურსივი ჩემია).

ეს კომუნისტური ინტერნაციონალი წარმოდგენილია აქ, ამ დარბაზში. იგი მოიცავს 70-ზე მეტს ქვეყანას. ყველა ერსა და რასაში, დედამიწის ყოველ კუთხეში მას მილიონობით ჰყავს მომხრეები, რომელნიც კომპარტიათა გავლენის ქვეშ იმყოფებიან. მარქსისა და ენგელსის მოძღვრება სრულად არის გაბატონებული დედამიწის ერთ მეექვსედ ნაწილში. მას ზურგს უმაგრებს მძლავრი სახელმწიფო, სოციალისტური მეურნეობა თავისი მრავალმილიარდიანი სიმდიდრით. მას ზურგს უმაგრებს ქვეყანა 170 მილიონამდე მოსახლით. იგი, ეს მოძღვრება, ყველა ქვეყანაში ამსხვრევს მონობის ჯაჭვებს, რათა მთელს მსოფლიოს დაეუფლოს.

ამ მოძღვრებით შეიარაღებული კომუნისტები, ტერორისა, წამებისა და დევნის მიუხედავად აწყობენ, რაზმავენ, ბრძოლაში აბამენ პროლეტარებს, მშრომელებს, კოლონიურ მონებს და მიჰყავთ ისინი გამარჯვებისაკენ. კომუნისტური ინტერნაციონალი გადაიქცა შუქურვარსკვლავად და გაჭირვებისა, ფაშიზმისა და ომებისაგან კაცობრიობის ხსნის იმედად.

გაუმარჯოს კომუნისტურ ინტერნაციონალს—მარქსისა და ენგელსის, ლენინის და სტალინის დიად ძლევამოსილ პარტიას! (**მქუხარე ტაში, რომელიც ოვაციაში გადადის. რამდენიმე წუთს გრძელდება.** დარბაზში ყველანი ფეხზე დგებიან. გაისმის შეძახილები ყველა დელეგაციაში, მღერიან „ინტერნაციონალს" და „კარმანიოლას").

ჩაის კრეფა 5 აგვისტოსათვის

(საქ. მიწსახკომის ცნობებით).

რაიონები	[illegible]	[illegible]
ბათუმის	222.028	69,1
ქობულეთის	1.041.313	72,8
გალის	395.121	71,7
ოჩემჩირის	139.600	87,1
მახარაძის	1.776.349	66,5
ჩოხატაურის	213.215	61,2
ლანჩხუთის	326.100	64
სამტრედიის	15.068	74,6
ხონის	14.132	128,5
ტყიბულის	29.347	94,4
სენაკის	154.783	48,9
მარტვილის	187.920	69,8
ზუგდიდის	562.498	60,3
წალენჯიხის	178.553	68,5
ჩხოროწყუს	97.542	77,3
ხობის	36.858	61
აჭარისტანის საბჭოთა მეურნეობების ტრესტი	89.848	80,6
სულ	5.980.275	67,1

პურის ჩაბარების წლიური გეგმა შესრულებულია

წნორის მტს-ის კოლმეურნეობებმა 31 ივლისისათვის მარცვლეულის სავალდებულო ჩაბარების წლიური გეგმა 100 პროცენტით შეასრულეს.

შესრულებულია ივლისის ნატურანაზღაურების გეგმა. — 5000 ცენტნერის ნაცვლად, ჩაბარებულია 5651 ცენტნერი—გეგმის 120 პროცენტით.

წნორის მტს-ი—სტეფანოვი.
მენაბდე.

გარდაიცვალა სომხეთის სახალხო მწერალი ა. შირვან-ზადე

მთავრობის ცნობა

ერევანი, 8 აგვისტო. 7 აგვისტოს, 17 საათზე, კისლოვოდსკში, ხანმოკლე ავადმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა ა.-კ. სსფრ ცაკის წევრი, სომხეთის სახალხო მწერალი ალექსანდრე შირვანზადე (ადს).

სომხეთის სსრ სახალხო კომისართა საბჭოს დადგენილება

სომხეთის სსრ სახალხო კომისართა საბჭომ დაადგინა:

1. გარდაცვალებული სახალხო მწერლის შირვანზადეს ცხედარი გადმოსვენებულ იქნას კისლოვოდსკიდან და დაიკრძალოს ერევანში.

2. შირვანზადეს დასაკრძალავად დაარსდეს მთავრობის კომისია შემდეგი შემადგენლობით: ა. ევიაზარიანი (თავმჯდომარე), ა. არისიანი, ს. შავერდოვა, დ. სიმონიანი, რ. დაშთოიანი, ს. ზორიანი და აკადემიკოსი ტამანიანი.

3. დაკრძალვის ხარჯები გაიღოს მთავრობამ (ადს).

ა. შირვან-ზადე

გარდაიცვალა სახალხო მწერალი შირვან-ზადე. მოძმე სომხეთის საბჭოთა ლიტერატურამ დაჰკარგა მხატვრული სიტყვის უდიდესი ოსტატი, რომელიც ნახევარი საუკუნის განმავლობაში დაუღალავად და უხვად ამდიდრებდა სომხურ ლიტერატურას ბელეტრისტული და დრამატურგიული შემოქმედების მაღალი მხატვრული შედევრებით. შირვან-ზადე ერთ-ერთი დამწყები და საფუძველმდებია მხატვრული რეალიზმისა სომხურ ლიტერატურაში. პროლეტარული რევოლუციის ეპოქამდე — ბურჟუაზიული ლიბერალური პოზიციებიდან მებრძოლი მწერალი ბალზაკისებური სიმძაფრითა და დამაჯერებლობით ხატავდა თავისი დროის სინამდვილეს, კრიტიკული რეალიზმის მთელი სიძლიერით ამხელდა ბურჟუაზიული საზოგადოების ექსპლოატატორულ ბუნებას და მკაფიო სახეებად გვიჩვენებდა მშრომელი მასების დამონებულ მდგომარეობას კაპიტალისტურ წყობილებაში.

პროლეტარული რევოლუციის შემდეგ შირვან-ზადე სრული გულწრფელობითა და თანმიმდევრობით დაადგა გამარჯვებული პროლეტარიატის პოზიციებს და ამისი სახით საბჭოთა ლიტერატურას შეეძინა ერთ-ერთი და საუკეთესო ბრწყინვალე წარმომადგენელი მხატვრული სიტყვის იმ დიდ ოსტატთა პლეადიდან, რომლებიც პროლეტარულმა რევოლუციამ გამოსტაცა ძველ ქვეყანას და დააყენა თავისი ძლევამოსილი დროშის ქვეშ.

უკანასკნელი 10 წლის განმავლობაში შირვან-ზადე დაუნდობლად იბრძოდა კონტრრევოლუციური კლასების რესტავრაციისაკენ მიმართული ყოველგვარი ცდის წინააღმდეგ. იგი დიდი მხატვრისათვის დამახასიათებელი ენტუზიაზმით შეჰხაროდა საბჭოთა ქვეყნის ზრდას და განმტკიცებას, — მთელი თავისი არსებით, მთელი თავისი ტალანტით ემსახურებოდა სოციალიზმის გამარჯვების დიად საქმეს.

იგი თავგამოდებით იბრძოდა ამიერ-კავკასიის ხალხთა ძმური სოლიდარობის განსამტკიცებლად და მასების შეგნებაში პროლეტარული ინტერნაციონალიზმის დასამკვიდრებლად. მიუხედავად ღრმა მოხუცებულობისა, იგი განაგრძობდა ინტენსიურ შემოქმედებით მუშაობას და თავისი შესანიშნავი რომანის „ქაოსის“ გაგრძელებით ცდილობდა დაეხატა პროლეტარიატის გამარჯვებისა და პარაზიტული კლასების განადგურების ეპოქები.

შირვან-ზადე უდიდესი პოპულარობითა და სიყვარულით სარგებლობდა არა მარტო საბჭოთა სომხეთისა, არამედ მთელი ჩვენი კავშირის და, კერძოდ, ამიერ-კავკასიის ხალხთა ფართო ფენებში. მისდამი მასების სიყვარულისა და პატივისცემის ნამდვილ დემონსტრაციას წარმოადგენდა შირვანზადეს იუბილე, რომელმაც საბჭოთა კულტურის ნამდვილი ზეიმის ხასიათი მიიღო ამიერ-კავკასიის სამივე რესპუბლიკის სატახტო ქალაქებში.

შირვანზადეს გამოსვლამ საბჭოთა მწერლების პირველ საბჭოთა ყრილობაზე ნათელჰყო ის სიყვარული და ავტორიტეტი, რომელიც მოპოვებული ჰქონდა მას მთელი საბჭოთა კავშირის მწერალთა საზოგადოებაში.

საქართველოს საბჭოთა მწერლები უსაზღვრო მწუხარებას გამოსთქვამენ თავისი სახელოვანი თანამებრძოლის დაკარგვის გამო. ჩვენ გავაკეთებთ ყველაფერს, რომ შირვანზადეს მაღალი მხატვრული შემოქმედება გადაიქცეს ყოველი ქართველი მუშის, ყოველი კოლმეურნის ნამდვილ საკუთრებად. ჩვენ გამოვთქვამთ ურყევ სურვილს და რწმენას, რომ სომხეთის საბჭოთა ლიტერატურა, რომელიც ამიერიდან თავისი მდიდარი კლასიკური მემკვიდრეობის საგანძურში მოაქცევს შირვან-ზადეს შემოქმედებას — ძლევამოსილად წავა წინ სოციალისტური მწერლობის დიად გზაზე.

საქართველოს საბჭოთა მწერლების კავშირის დავალებით:

აკაკი თათარიშვილი, დ. დემეტრაძე, ს. ეული, ბ. ჟღენტი, ვ. გაფრინდაშვილი, შ. დადიანი, მიხ. ჯავახიშვილი, ტ. ტაბიძე, ა. მაშაშვილი, პ. იაშვილი, ს. ჩიქოვანი, ა. გეგუჩაძე, ნ. მიწიშვილი, დ. შენგელაია, პ. საყვარელიძე, რ. გვეტაძე, ნ. ლორთქიფანიძე, ლ. ქიაჩელი, პ. ჩხიკვაძე, კ. ლორთქიფანიძე, ს. შანშიაშვილი, პ. სამსონიძე.

კისლოვოდსკს აეროპლანით გაემგზავრა სპეციალური კომისია

ერევანი, 8 აგვისტო. სახალხო მწერლის შირვანზადეს ცხედრის ერევანში გადმოსასვენებლად კისლოვოდსკში გაფრინდა სპეციალური კომისია ამხ. სიმონიანის, სტ. აბოვის, ზორიანისა და ჯანიანის შემადგენლობით (ადს).

ამიერ-კავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი და ამიერ-კავკასიის სოციალისტური ფედერატიული საბჭოთა რესპუბლიკის სახალხო კომისართა საბჭო ღრმა მწუხარებით იუწყებიან, რომ ა.-წ. 7 აგვისტოს კისლოვოდსკში გარდაიცვალა ამიერ-კავკასიის ცაკის წევრი, სომხეთის სოციალისტური საბჭოთა რესპუბლიკის სახალხო მწერალი ამხ.

ალექსანდრე მინასისძე შირვან-ზადე

სომხეთის საბჭოთა მწერლების კავშირის პრეზიდიუმი ღრმა მწუხარებით იუწყება, რომ ქალაქ კისლოვოდსკში 7 აგვისტოს გარდაიცვალა სომხეთის სახალხო მწერალი

ა. მ. შირვან-ზადე (მოვსესიანი)

საქართველოს საბჭოთა მწერლების კავშირის პრეზიდიუმი ღრმა მწუხარებით იუწყება, რომ ქალაქ კისლოვოდსკში 7 აგვისტოს გარდაიცვალა სომხეთის სახალხო მწერალი.

ა. მ. შირვან-ზადე. (მოვსესიანი)

პარტგამომცემლობის მიერ გამოშვებულ კრებულის შესახებ

„პარტია მემარჯვენე გადახრის წინააღმდეგ ბრძოლაში“

მარქს-ენგელს-ლენინის ინსტიტუტის ტფილისის ფილიალის მიერ მომზადებულ და საქ. პარტგამომცემლობის მიერ გამოცემულ კრებულში „პარტია მემარჯვენე გადახრის წინააღმდეგ ბრძოლაში“ (ამხ. ა ბრეგვაძის რედაქციით), პარტგამომცემლობის ხელმძღვანელობისა და კრებულის კორექტორის მისდამი დაუდევარ და უყურადღებო დამოკიდებულების გამო დაშვებულია მთელი რიგი შეცდომები, რომლებიც უხეშად ამახინჯებენ აზრს.

შეცდომების გამომჟღავნებისთანავე ხსენებული კრებულის გამოცემა დაუყოვნებლივ იქნა შეჩერებული და პარტგამომცემლობა ამჟამად ასწორებს დაშვებულ შეცდომებს (ცალკე გვერდების განმეორებითი დაბეჭვდის გზით და სხვ.)

მაგრამ კრებულის ტირაჟის ნაწილი უკვე გავრცელებულია, ამიტომ მკითხველთა საყურადღებოდ აქვე ვასახელებთ უმთავრეს შეცდომებს, რომელთა გათვალისწინება — გასწორების გარეშე, კრებულით სარგებლობა შეუძლებელია:

გვერდი	სტრიქონი	დაბეჭდილია	უნდა იყოს
10	19 ქვევ.	კაპიტალიზმის აშენების შესაძლებლობა.	კაპიტალიზმის აღდგენის შესაძლებლობა
14	15 "	ამოიღეს	აიმაღლეს
50	3 ზევ.	ფასების თავი.	ფასების თავისუფალი თამაშის საფუძველზე
51	5 "	სათვის **ძირის გამოთხრის** გეგმა	**ამხ. ბუხარინის გეგმა**
87	16 ქვ.	რეკონტრაქტაციის.	რეკონსტრუქციის.
98	2 "	მეორე	მეათე
171	3 ზევ.	ფენების	შუაფენების
210	9 "	მეურნეობის შესახებ.	მეურნეობის აღმავლობის შესახებ.
212	8 "	მე-16 პარტყრილობაზე	მე-17 პარტყრილობაზე

საქ. პარტგამომცემლობა

მარქს-ენგელს-ლენინის ინსტიტუტის ტფილისის ფილიალი.

ამხ. ლ. ბერიას მოხსენების დამუშავების შესახებ საქართველოს საბჭოთა მწერლების კავშირში

აღნიშნავს, რა რომ ტფილისის პარტაქტივის 21—22 ივლისის კრებაზე ამხ. **ლ. ბერიას** მოხსენებას „ამიერ-კავკასიის ბოლშევიკური ორგანიზაციების ისტორიის საკითხისათვის“ უდიდესი მნიშვნელობა აქვს მწერალთა მასის მარქსისტულ-ლენინური აღზრდის საქმეში და განსაკუთრებულ დახმარებას უწევს საბჭოთა მწერლებს, რომ სწორად და ღრმად ასახონ რევოლუციური ბრძოლა მუშათა კლასისა და მისი ავანგარდის — ამიერ-კავკასიის ბოლშევიკური ორგანიზაციებისა, რომელთაც ხელმძღვანელობს დიდი **სტალინი** — საქართველოს საბჭოთა მწერლების კავშირის სამდივნო ადგენს:

1. ამხ. ბერიას მოხსენება დამუშავდეს საბჭოთა მწერლების ფართო კრებაზე; ამავე კრებაზე განხილულ იქნას, ლ. ბერიას მოხსენების დებულებათა მიხედვით, ქართველი მწერლების ისტორიულ-ლიტერატურული შრომები და ის მხატვრული ნაწარმოებები, რომლებიც აგებულია ისტორიულ-რევოლუციურ თემებზე.

მოხსენების წაკითხვა მიენდოს ამხ. დ. დემეტრაძეს.

2. დაევალოთ აფხაზეთის, სამხრეთ-ოსეთის აჭარისტანისა და ქუთაისის მწერალთა ორგანიზაციების გამგეობებს ჩაატარონ მწერალთა ანალოგიური კრებები ამხ. ლ. ბერიას მოხსენების დასამუშავებლად.

3. დაევალოთ ჟურნალების „მნათობისა“ და „ჩვენი თაობის“ რედაქციებს მახლობელ ნომრებში მოათავსონ წერილები, რომლებშიაც გაკრიტიკებული იქნება ქართველი საბჭოთა მწერლების ისტორიულ-რევოლუციური მხატვრული ნაწარმოებები საქართველოს და ამიერ-კავკასიის რევოლუციური მოძრაობის სწორად ასახვის თვალსაზრისით.

4. მოეწყოს მწერლების სემინარი ამხ. ლ. ბერიას მოხსენების ღრმად შესასწავლად.

საქ. საბჭოთა მწერლების კავშირის სამდივნო.

კუნძულ კრიტზე მომხდარი ამბების გამო

ვენა, 6 აგვისტო. ათინიდან მიღებული ცნობებით, გუშინ კუნძულ კრიტზე მომხდარი აჯანყება დაიწყო ქალაქ კანდიისა და სხვა ქალაქების მუშათა საერთო საპროტესტო გაფიცვით ყველა საწარმოში ხა მუშათ ხელფასის შემცირების ცდის წინააღმდეგ. გაფიცვამ იმწამსვე მიიღო ანტიმონარქისტული ხასიათი, რაც გამოიხატა მუშების შეიარაღებულ გამოსვლაში, რომელსაც შეუერთდნენ რესპუბლიკანელი ვენიზელისტები. 3 ათასმა მუშამ კანდიაში აიღო არსენალი, გამოიტანა იარაღი და დაიკავა მთავრობის მთავარი შენობები, მათ შორის კრიტის გუბერნატორის სასახლე. აჯანყებულების წინააღმდეგ გამოვიდა ჯარი და ჟანდარმერია. საბერძნეთის სამხედრო მინისტრმა გასცა ბრძანება ჩაექროთ აჯანყება „ყოველგვარი საშუალებით“. ჯარებსა და აჯანყებულ მუშებს შორის გაჩაღდა ბრძოლა.

ვენა, 6 აგვისტო. ათინიდან მიღებული უკანასკნელი ცნობებით, ჯარების სარდალმა გენერალ ვაკოპულოსმა იმის შიშით, რომ მუშებს, რომლებმაც კრიტზე ქალაქი კანდია აიღეს, კავშირი არ დაემყარებინათ სხვა ქალაქების მუშებთან და კრიტის დანარჩენ [illegible] შემოარტყა [illegible] კანდიას და ულტიმატუმი წარუდგინა მუშებს, რომლებსაც მთავრობის სახელით დაჰპირდა მათი მოთხოვნების ნაწილობრივი დაკმაყოფილებას. მთავრობის ჯარების მნიშვნელოვანი უპირატესობისა და ათინიდან გაგზავნილი სამხედრო გემებისა და ბომბარმზიდთა ესკადრილიის მოახლოვების გამო, მუშები იძულებული შეიქნენ ბრძოლა შეეწყვიტათ.

ცალკეული შეტაკებები მუშებსა და ჯარს შორის გრძელდებოდა ჯარის ქალაქში შესვლის შემდეგაც და შეწყდა მხოლოდ გვიან ღამით. მსხვერპლთა რაოდენობა ჯერ ზუსტად არ არის გამორკვეული. იუწყებიან, რომ მუშების მიერ მარტო საზოგადოებრივ შენობათა აღების მომენტში კანდიაში მოკლულ იქნა 7 და დაჭრილი დაახლოვებით 50 კაცი.

კრიტისკენ გაგზავნილ ორ გამანადგურებელს და ბომბარმზიდთა ესკადრილიას მიეცათ ბრძანება დაბრუნდნენ ათინაში. (ადს).

რომენ როლანისა და ბარბიუსის დეპეშა ჰიტლერს

პარიზი, 7 აგვისტო. „ჰუმანიტეს“ მიერ გამოქვეყნებული ცნობით, რომენ როლანმა და ანრი ბარბიუსმა გაუგზავნეს ჰიტლერს დეპეშა, რომელშიც მოითხოვენ იმ სასიკვდილო განაჩენის გაუქმებას, რომელიც ამ დღეებში გამოუტანეს რეიხსტაგის კომუნისტური ფრაქციის წევრს კაიზერს (ადს).

პროტესტი იაპონიის ელჩისა ამერიკის შეერთებულ შტატებში

ნიუ-იორკი, 5 აგვისტო. როგორც გამოქვეყნებული იყო, იაპონიის ელჩმა ამერიკის შეერთებულ შტატებში — საიტომ სახელმწიფო დეპარტამენტს განუცხადა პროტესტი ჟურნალ „ვანიტიფეირში“ („მედიდურობის ბაზრობა“), იაპონიის იმპერატორზე მოთავსებული კარიკატურის გამო. პროტესტში აღნიშნულია, რომ ეს კარიკატურა შეურაცხყოფას აყენებს იაპონიის იმპერატორს. სახელმწიფო მდივანმა ხელლმა პრესის წარმომადგენლებთან საუბარში მწუხარება გამოსთქვა, რომ კარიკატურა ცუდად გაიგეს იაპონიაში, და ამასთან ერთად ხაზი გაუსვა, რომ ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობა პასუხისმგებელი არ არის პრესაში მოთავსებული განცხადებებისა და კარიკატურებისათვის (ადს).

ახალი ავტობუსები

წყალტუბოში და შოვში მიმავალ დამსვენებელთა უკეთესი მომსახურებისათვის „სოიუზტრანსის“ ქუთაისის განყოფილებამ ომატებით მიიღო 6 ახალი ავტობუსი. „ლუქსის“ სისტემის სამი მანქანა მუშაობს ქუთაისის რკინის გზის სადგურიდან წყალტუბომდე და უკან. შოვში მიმავალ დამსვენებელთა გადაყვანაზე მუშაობს სამი ახალი 13 ადგილიანი ავტობუსი „ტორნედო“.

პარტკალენდარი

— საქ. კ. პ. (ბ) ტფილისის ორგანიზაციის ს. ორჯონიკიძის სახელობის რაიკომი იუწყება, რომ 9 აგვისტოს, საღამოს 7 საათზე რაიკომში შესდგება ძირეული რაიპარტაქტივის მორიგი მეცადინეობა თემაზე: „**ა.-კავკასის ბოლშევიკურ ორგანიზაციათა ჩასახვისა და ჩამოყალიბებების ისტორიისათვის**“.

— საქ. კ.პ. (ბ) ტფილისის ორგანიზაციის ს. ორჯონიკიძის სახელობის რაიკომი იუწყება, რომ 10 აგვისტოს, საღამოს 7 საათზე რაიკომში შესდგება პროპსემინარის მორიგი მეცადინეობა თემაზე: „**ა.-კავკასიის ბოლშევიკურ ორგანიზაციათა ჩასახვისა და ჩამოყალიბების ისტორიისათვის**“.

ყველა პროპაგანდისტის დასწრება სავალდებულოა.

10 აგვისტოს, საღამოს სრულ 7-საათზე, გაზ. „კომუნისტი“-ს რედაქცია იწვევს ტფილისის საწარმოთა მრავალტირაჟიანი და კედლის გაზეთების

რედაქტორთა და მუშკორთა საქალაქო შეკრებას.

დღის წესრიგი: მოხსენება თემაზე: „გაზეთი და მუშკორესპონდენტები“ — რომელიც დამუშავდა „რაბოჩე კრესტიანსკი კორესპონდენტის“ რედკოლეგიის გაფართოებულ თათბირზე მუშკორთა მოძრაობის მუშაკებთან ერთად 8 და 10 აპრილს.

შეკრება შესდგება რედაქციის ბინაზე. (რუსთაველის პროსპექტი № 16).

ოქტომბერი 7, 9, 11
დამკვრელი (საზ.-საზამთ.) 6-30, 8, 9-30, 11
ტემპი (საზაფხ.) ხმოვანი 9, 11
რ. ლიუქსემბურგის სახ. 7, 9, 11
ეთერი (საზაფხ.) 9, 10-30
„26“-ის კომ. სახ. 6-30, 8-30, 10-30
კომინტერნი საზაფხ. (დიდუბეში). 9, 10-15

ხმოვანი ფილმი
ხნაიპერი
ადამიანი და ლივრეია
ხმ. მოლაპ. ფილმი—შ. იორგენის დღესასწაული
პროგრამაშია—ხმოვანი კინო-ნარკვევი—დღე ბათომში
სენსაციის დაღუპვა
ცოცხალი ღმერთი
საზაფხ.—პირველი სიყვარული
საზამთ.—ხმოვ. ჭუნარი დონი
მეჩეთის თაღებ ქვეშიდან

ტფილისის მე-3 სამედიცინო ტექნიკუმში მიღების პირობები 1935-36 სასწავ. წლისათვის

ტექნიკუმში მიიღებიან 7 წლედ დამთავრებულნი. სწავლის ხანგრძლივობა 3 წელი. საჭიროა შემდეგი საბუთები: 1. შვიდწლედის დამთავრების მოწმობა, 2. სოცწარმოშობის, 3. მეტრიკული ამონაწერი, 4 ჯანმრთელობის და აცრის, 5. ორი შემოწმებული ფოტოსურათი. გამოცდები დაიწყება 1 სექტემბერს. მსმენელები უზრუნველყოფილნი იქნებიან სტიპენდიით საერთო წესით. განცხადებების მიღება სწარმოებს კამოს ქ. № 51.

ნ. 261 **ტექნიკუმის დირექცია.**

საქართველოს შინავაჭრობის სახკომისარიატის ტფილისის საბჭოთა ვაჭრობის ტექნიკუმში

1935—36 სასწავლო წლისათვის მიღების პირობები.

ტექნიკუმს აქვს ქართული და რუსული სექტორი.

ტექნიკუმს აქვს 2 განყოფილება: 1) სააღრიცხვო-ეკონომიური და 2) საქონელთმცოდნეობის. ტექნიკუმში მიიღებიან ორივე სქესის მოქალაქენი 16-30 წლამდე.

ტექნიკუმში შემსვლელთ დამთავრებული უნდა ჰქონდეთ არასრული საშუალო სკოლა (შვიდწლედი). გამოცდები იწარმოებს შემდეგ საგნებში: 1) საზოგადოებათმეცნიერებაში, 2) ქართულში (ზეპირი და წერითი), 3) მათემატიკაში (ალგებრა, არითმეტიკა. გეომეტრია) და 4) ფიზიკაში. განცხადებასთან წარმოდგენილ უნდა იქნეს შემდეგი საბუთები:

1. სკოლის დამთავრების მოწმობა, 2. დაბადების საბუთი, 3. თავისი და მშობლების სოციალური მდგომარეობის საბუთი, 4. ჯანმრთელობის მოწმობა, 5. ორი შემოწმებული ფოტოგრაფიული სურათი, 6. მოწმობა სამხედრო სამსახურისადმი დამოკიდებულების შესახებ.

განცხადებები მიიღება პირველ სექტემბრამდე.

სტუდენტები უზრუნველყოფილი იქნებიან სტიპენდიით აკადემიური წარმატების მიხედვით.

გამოცდები დაიწყება 7 სექტემბერს დილის 8 საათზე. სწავლა დაიწყება 15 სექტემბერს. განცხადებების და საბუთების გამოგზავნა შეიძლება ფოსტით: ტფილისი, კეცხოველის ქ. № 12.

საქართველოს შინავაჭრობის სახალხო კომისარი დ. ძოწენიძე. ჟუჩულორია.

ნ. 257 **ტექნიკუმის დირექტორი ნ. გვაზავა.**

ტფ. სახელმწიფო სტომატოლოგიური (კბილის საექიმო) ინსტიტუტში (4 წლიანი)

მიიღება განცხადებები 20 აგვისტომდე

გამოცდები დაიწყება 23—29 აგვისტომდე.
მეცადინეობა „ 15 სექტემბერს.

ნ. 253 2—2 **ინსტიტუტის დირექცია.**

ტფ. სახ. უნივერსიტეტის პარტ. კომიტეტი

წინადადებას აძლევს ქვემოთ ჩამოთვლილ პარტ. წევრ კანდიდატებს, რათა ყოველ მიზეზ გარეშე გამოცხადდნენ უნივერსიტეტის პარტ. კომიტეტში ა/წ. 14 აგვისტომდე. აღნიშნულმა ამხანაგებმა თან უნდა იქონიონ: პასპორტი, სამხედრო წიგნაკი და სასურველია იქონიონ მეტრიკული ამონაწერიც.

1) ბაძალუა გრიგოლი, 2) ავახავა ნიკოლოზი, 3) ბოჭორიშვილი მიხეილი, 4) ქურციკიძე მარგალიტა, 5) გაჩეჩილაძე ალექსანდრე, 6) ვარდიაშვილი ზინაიდა, 7) ივანიშვილი დავითი, 8) ელერჯერიძე გრიგოლი, 9) კვანტალიანი სევერიანი, 10) ჩარუა თამარი, 11) მოისწრაფიშვილი ილია, 12) ყორიშვილი ალექსანდრე, 13) სამჭკუაშვილი ილია, 14) სილაგაძე სერგო, 15) ტოროშელიძე ნიკოლოზი, 16) ბოცვაძე სერგო, 17) სამუშია ბესარიონ. 18) აბელაშვილი დავით, 19) ოქრუა თამარი, 20) პაპავა ლეონიდა, 21) ორმოცაძე ქეთია, 22) ორაგველიძე გეონტი, 23) მაღლაკელიძე ვლადიმერ, 24) მახარაშვილი დიმიტრი. 25) ნაჭყებია დიანოს. 26) რუხაძე ალექსანდრე. 27) კაპანაძე შალვა, 28) კალანდია გერასიმე, 29) ყარაულაშვილი გიორგი, 30) ელიქოკი გაბო, 31) ქაჯაია ნინა. 32) უჩანეიშვილი ბაგრატი, 33) ჯანჯღავა დავით, 34) ტრაპაიძე გრიგოლ. 35) ქუასელი ვარლამ, 36) ჭადუა აკაკი, 37) შარუხია მარო, 38) შარაშიძე ბენია, 39) შიუკაშვილი ივანე, 40) ყორშია ავქსენტი, 41) კალანდაძე სერაფიონ. 42) თავბერიძე გრიგოლი, 43) ერისთავი თინა. 44) დამენია ნინო 45) გოდერიძე მარგალიტა. 46) ბარაბაძე ალექსანდრე, 47) ბასილაძე გელაქტიონ, 48) დოლიძე ვარლამ იოსების ძე, 49) კუპატაძე იულონი. 50) ცინცაძე შალვა, 51) ცხოიძე იოსები, 52) ჩაბიძე ნესტორ, 53) ასათიანი გრიგოლი, 54) ბაზლაძე იონა 55) გაბუნია ტრიფონი, 56) დავითაია ნიკოლოზი, 57) კოტრიკაძე სერაფიონი. 58) ძარგველაშვილი ივანე, 59) ნასიბოვი შალვა, 60) ტუღუში მოსე, 61) შანავა აკაკი ანდრიას ძე, 62) ამიროვი გრიგოლი, 63) არუთინოვი საშილ, 64) ბებია ლავრენტი, 65) ბარამია ლიდა. 66) ბერიშვილი აძირანი, 67) გოცირიძე ეკატერინა, 68) მაღლაძე ალექსანდრე, 69) მჭედლიძე ზაქარია, 70) ნამგალაძე გედეონ. 71) პავლიაშვილი ტატიანა, 72) სილაგაძე რაჟდენი. 73) სამყურაშვილი ბენია, 74) ფრუიძე აკაკი, 75) ფარჯიკია ევგენია, 76) უკლება ნოე, 77) შველიძე ალექსანდრე. 78) კუჭავა ეკატერინე, 79) გვეუჩაძე ვასილი, 80) სოლომონია ილია, 80) ტუღუში ვალენტინა, 81) მახარაძე აპოლონი. 82) ძიძიგურიშვილი მარიამი, 83) ქეიშვილი ალექსანდრე, 84) ხოსრაშვილი ზაქარია, 85) ვარდოსანიძე თამარი, 86) ჯაველიძე გრიგოლი. 87) ჯაფარიძე ტოსია, 88) ხელაშვილი შალვა, 89) ხვინგია იორდანე, 90) თეკზაძე ვასილი, 91) ამხოკაძე მიხეილი ისაკის ძე 92) ბარამიძე გრიგოლი, 93) ელიზბაროვი გიორგი, 94) ვადაჭკორია გალაქტიონი, 95) კვაჭაძე შალვა, 96) კიკაჩეიშვილი ალექსანდრე, 97) კვარაცხელია დანიელი. 98) მეფარიშვილი ნინა, 99) ნუცუბიძე ნიკოლოზი, 100) მამისაშვილი პეტრე, 101) ქართველიშვილი კიგო, 102) არუთინოვი მარო, 103) დარბაიძე გენადი სიმონის-ძე, 104) კობახიძე ვლადიმერ, 105) კურცია ივანე, 106) თეთრაშვილი გიორგი, 107) ქილიფთარი აპოლონი, 108) შელეგია იოანე. 109) ყარანაშვილი არჩილი, 110) ჩოდრიშვილი იოსები, 111) ცერცვაძე ჟღმანგი, 112) ჯაიანი შუშანა ივანეს ასული, 113) ჯავახიშვილი დიმიტრი 114) ხელაძე გრიგოლ, 115) პატარავა ევგენია, 116) ზერიდაძე ვარლამი, 117) კუპრაშვილი ვალიკო, 118) ჯერანაშვილი ნიკოლოზი 119) რეხვიაშვილი ივანე და ხირსელი ვანო.

ნ. 256

ქ. ფოთის საზღვაო ტექნიკუმი

აცხადებს შემოდგომის მიღებას ქართულ სექტორის გემთ-სამექანიკო განყოფ. 1-ლ კურსზე.

მიიღებიან 16 წ. ასაკიდან 30 წლამდე. (მსურველებმა რუსული ენა დამაკმაყოფილებლად უნდა იცოდენ). გამოცდების ჩაბარება იწარმოება შემდეგ საგნებში: ქართულში, რუსულში, მათემატიკაში, საზ. მეცნიერებაში, ფიზიკაში, ქიმიაში და ფიზიკურ გეოგრაფიაში.

სწავლების კურსი 4 წელია. მოსწავლენი უზრუნველყოფილი იქნებიან სტიპენდიით და საერთო საცხოვრებლით. წარმოსადგენია შემდეგი საბუთები და ცნობები: არა სრ. საშ. სკოლის დამთავრების, მეტრიკული ამონაწერი, ჯანმრთელობის და ყვავილის აცრის, მშობლების და შემომსვლელის სოცმდგომარეობის, პარტიულობის და შემომსვლელის სწორი მისამართი, საბუთებთან ერთად 2 ფოტო-სურათი 40 კაპ. საფოსტო მარკა.

ტექნიკუმის მისამართი: ქ. ფოთი, ტფილისის სანაპირო № 25, საზღვაო ტექნიკუმის მიმღებ კომისიას. განცხადებების შემოტანის ვადა 15 აგვისტომდე.

გამოცდები დაიწყება 20 აგვისტოდან სწავლა 1 სექტემბერს.

9126 **ტექნიკუმის დირექცია.**

სასოფლო-სამეურნ. ინსტიტუტი აცხადებს,

რომ განცხადებების მიღება გრძელდება ა-წლ. 18 აგვისტომდე.

მიღების პირობები, იხ. გაზ. „კომუნისტი“ ა-წ. 22-V.

9129 ინსტიტუტის დირექტორი **ნ. ბუაჩიძე.**

„საქვაჭრობა“-მ

1-ლ აგვისტოდან გახსნა 19 თებერვლის ქ. № 80-ზე

სარემონტო-საამშენებ. მასალათა მაღაზია № 6.

მოქალაქეებს შეუძლიათ შეიძინონ მაღაზიაში ბინების სარემონტოდ ყველა საჭირო სარემონტო-საამშენებლო მასალა: ლურსმნები, ფანჯრის მინა, ოლიფა, საღებავი, ლაქი, სახურავი რკინა, ელექტრო მასალა, ცემენტი ცარცი, ალებასტრი, ტოლე, კირი, ფირფიცარი (ფანერა), მვალერი, კლიტე გასაღები, ურდული და სხვა. 12—3 359

ლანჩხუთის სახალხო სასამართლოს აღმასრულებელი ჩხიკვიშვილი

ამით აცხადებს, რომ 12 აგვისტოს ლანჩხუთის რაიონის ნიგვზიანის თემში

საჯარო ვაჭრობით გაყიდის

„ჯუმკოპტყის“ კუთვნილ რბილი ჯიშის შეშას 3.000 კ./მ. რაოდენობით საქმარაგვასაღების ვალის დასაფარავად თანახმად არბიტრაჟის № 3/1201 ბრძანებისა. შეშა შეფ-სებულია 13650 მან.

9120 სას. აღმას. **ჩხიკვიშვილი.**

საქ. ს. ს. რესპუბლიკის სახელმწიფო საავტომობილო ინსპექციის სამმართველო აცხადებს,

რომ რესპუბლიკური სახელმწ. საკვალიფიკაციო კომისია შეუდგა ა-წ. 6 აგვისტოდან ახალი საშოფერო დოკუმენტების გაცემას.

ახლის მისაღებად საჭიროა ძველი დოკუმენტების ჩაბარება, რის უკანასკნელ ვადად დანიშნულია ა-წ. 20 აგვისტო ამ რიცხვის შემდეგ დოკუმენტები შეუცვლელად აღარ მიიღება და ყველა წამყვანი, რომელსაც არ ექნება შოფერის ახალი მოწმობა ჩამოერთმევა ავტო-მოტო-მანქანის მართვის უფლება და იგი მოხსნილი იქნება სამუშაოდან.

საქ. ს. ს. რესპუბლიკის სახელმწიფო საავტომობილო
258 ინსპექციის სამმართველოს უფროსი—იხვ. **მამულია.**

ქრმალო ენუქიძე შვილებით: ნინა, პლატონ, დათიკო, ევდოკიმე, ვასილი კონსტანტინე და ეკინა, სიძეები: დავით ინაძავაძე და ვანო გარუჩავა აუწყებენ ნათესავებსა და ნაცნობ მეგობრებს, რომ გარდაიცვალა მათთვის დაუვიწყარი

ნატალია ენუქიძისა

დაკრძალვა მოხდება სოფ. გორაში, 11 აგვისტოს. უფ.

მეუღლე მიხეილი პატარა ელგუჯათი, დედამთილი მარიამი, მამამთილი სოლომონ, მაზლები: გიორგი, შალვა, მული მარგო კაკაბაძეები იუწყებიან ახალგაზრდა

ოფელია პავლეს ას. პოლოსოვა—კაკაბაძის

გარდაცვალებას. დაკრძალვა მოხდა 6 აგვისტოს ქ. სტეპანავანში. 9124

დედა მართა, ძმები: გაბრიელ, ლადიკო, აპოლონ ცოლშვილით, და მარო, სიძე იასონ ჯორბენაძე შვილებით აუწყებენ საზოგადოებას

გიორგი მაქსიმის-ძე სურგულაძის

გარდაცვალებას. დაკრძალვა ბათომში 8 აგვისტოს 5 საათზე. მისა ცხაკაიას ქ. № 10. 9122

პოლიტსაგანმანათლებლო მუშაკთა პროფკავშირის ცენტრალური გამგეობა აუწყებს საზოგადოებას ც. გ. პრეზიდიუმის წევრის ამხ. მიხეილ ფალავანდიშვილის პატარა ქალიშვილის

თამარი ფალავანდიშვილის

უდროოდ გარდაცვალებას. დაკრძალვა 9 აგვისტოს, ნაშუადღევის 6 საათზე. 9134

მიშა, ნუცა, მარო და თამაზ ნაოოაძეები მწუხარებით იუწყებიან საყვარელ

თემურიკოს

დაკარგვას.

დამწუხრებულნი მშობლები: ალათი, ბესარიონი, ცოლი მარო, შვილი მერი, ძმები: გერასიმე ცოლშვილით ვენედიქტე გიორგი კეკელიები აუწყებენ ნათესავებს და მეგობრებს

სერგო ბესარიონის-ძე კეკელიას

უდროოდ გარდაცვალებას. 9136

დედა ფიქრია, მეუღლე მარგო პატარა ჯუნგე და ფეზიკოთი, რძალი ნუცა, ძმები ვარლამი, ტარიელი, და ფაცია ჩხოლარიები იუწყებიან, რომ 10 აგვისტოს სოფ. ორსანტიაში დანიშნულია.

ბარდღა კონსტანტინეს-ძე ჩხოლარიას

სამოქალაქო პანაშვიდი. 9139

თედო, ნინა და იზოლდა კუჩუკულიები მწუხარებით იუწყებიან დაუვიწყარი

პატკუ ალექსის ასულ პელიძე ჟუონიას

უდროოდ დაკარგვას. 280

მშობლები: ოლია, მიშა მერაბიკოთი, შალვა, ელენე, რევაზ ცოლშვილით ფალავანდიშვილები, მარია, დავით ჭანტურიები შვილებით იუწყებიან პატარა

თამრიკო ფალავანდიშვილის

გარდაცვალებას. დაკრძალვა 9 აგვისტოს 6 ს. ვერის სასაფლაოზე გამოსვენება დიდუბის ქ. № 17. 9133

ა.-კ. ინდუსტრიალური ინსტიტუტის ქიმ ტექნოლოგიური ფაკულტეტის 57-ჯგ. მე-5 კურსის სტუდენტები უღრმესი მწუხარებით იუწყებიან მათი მეგობრის ამავე კურსის სტუდენტის

თინა გალიცკაიას

დაღუპვას მოსკოვში. 9103

დამწუხრებული მშობლები: გერასიმე, ლიზა ინწკირველები, სიძე გალაქტიონი, და დუდანა შვილებით აუწყებენ ნაცნობ მეგობრებს, რომ ხანგრძლივი ავადმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა მე-3 კურსის სტუდენტი

ივანე გერასიმეს-ძე ინწკირველი

დაკრძალვა ს. ბახვში. 9132

დავსტირით ძვირფას მეგობარს საყვარელ

თინიკო გალიცკაიას

უახლოესი მეგობრები: მაგდალინა მუაქრიშვილი, ნინო მშვენიერაძე, თამარა ლომიძე, მარო და ლადო ჯიშკარიანები. 9105

ბერძენი პლატონი, გლუშკოვი ვლადიმერი და დარასელია გრიგოლი ოჯახობით უღრმეს მწუხარებას გამოსთქვამენ

თინა, ვერა და გალოჩკა გალიცკების

დაღუპვის გამო. 9135

მისამართები: რედაქციის რუსთაველის პროსპექტი № 16, გამომცემლობის რუსთაველის პროსპ. №34. ტელეფონები რედაქტორის 3—63—26, რედაქტორის მოადგილის 3—63—03. პასუხისმგებელი მდივნის 3—08—87, სამდივნოს 3—06—88, მასობრივი განყოფილების 3—73—24, პარტ-მშენებლობის განყოფილების 3—57—61, სამრეწველო განყოფილების—3—73—40, სტამბის 3—27—04, გამომცემლობის—3— 51—81. ხელთნაწერებს რედაქცია ავტორებს არ უბრუნებს.

სტამბა „კომუნისტი“ კამოს ქ. № 68

მთავლიტის რწმუნებული 8007.